ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
8 მაისი
1939 წ.
№ 103 (5503)
ფასი 10 კაპ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან სოფლის მასწავლებლობის წარმომადგენლები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

„სოფლის სკოლებში ბავშვთა სწავლებისა და საბჭოურად აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, სასწავლო მუშაობის ჩინებულად დაყენებისათვის და სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის" დაჯილდოებულია 4.000-ზე მეტი მასწავლებელი, აქედან 400-ზე მეტი კაცი—ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით!

ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქტი მოწმობს, თუ რა უდიდეს სიმაღლეზეა აყვანილი ჩვენში სახალხო მასწავლებელი.

საუცხოო რუსი მწერალი ა. პ. ჩეხოვი 1900-ან წლებში შესჩიოდა მაქსიმ გორკის:

— თქვენ რომ იცოდეთ, როგორ ესაჭიროება რუსეთის სოფელს კარგი, გონიერი, განათლებული მასწავლებელი! ჩვენში, რუსეთში, იგი ჩაყენებულ უნდა იქნას რაღაც განსაკუთრებულ პირობებში, და ეს უნდა მოვიმოქმედოთ რაც შეიძლება მალე, თუ ჩვენ გვესმის, რომ თუ ხალხი ფართოდ არ იქნა განათლებული, სახელმწიფო დაინგრევა, როგორც ცუდად გამომწვარი აგურისაგან აშენებული სახლი! მასწავლებელი უნდა იყოს არტისტი, მხატვარი, თავისი საქმის დიდად მოყვარული, ჩვენში კი—ეს არის შავი მუშა, ცუდად განათლებული ადამიანი, რომელიც სოფელში ბავშვთა სასწავლებლად ისეთი ხალისით მიდის, როგორითაც იგი გადასახლებაში წავიდოდა. იგი მშიერია, დაბეჩავებული, მას აშინებს ლუკმა-პურის დაკარგვის შესაძლებლობა. საჭიროა კი, რომ იგი პირველი კაცი იყოს სოფელში, რომ მას შეეძლოს პასუხი გასცეს გლეხს ყველა კითხვაზე, რომ გლეხები მასში ხედავდნენ ყურადღებისა და პატივისცემის ღირს ძალას, რომ ვერავის შეეძლოს დაუყვიროს მას,.. დაამციროს მისი პიროვნება, როგორც ამას ჩვენში სჩადის ყველა: ურიადნიკი, მდიდარი მედუქნე, ხუცესი, ბოქაული, სკოლის მზრუნველი, მამასახლისი და ის მოხელეც, რომელიც სკოლების ინსპექტორის სახელწოდებას ატარებს, მაგრამ ზრუნავს არა განათლების უკეთ დაყენებისათვის, არამედ მხოლოდ ოლქის ცირკულარების გულმოდგინედ შესრულებისათვის. უაზრობაა გროშები აძლიო იმ ადამიანს, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს ხალხი,— გესმით? — აღზარდოს ხალხი!

ის განსაკუთრებული პირობები, რომლებზედაც ჩეხოვი გორკის ელაპარაკებოდა, ოცნებიდან სინამდვილედ იქცა. ხალხმა, რომელმაც დაანგრია კაპიტალისტური წყობილება და შექმნა სოციალისტური სახელმწიფო, მაღლა დააყენა მასწავლებლის სახელწოდება, იგი უდიდესი მზრუნველობით ეკიდება სოციალისტური განათლების მთელ არმიას. ამჟამად არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სოფლის მასწავლებელს ნაღვლიანი მარტოობისა და კულტურული სამყაროსაგან მოწყვეტილობის გრძნობა. ჩვენი მასწავლებლობა — ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმი, 969 ათასი მებრძოლის — სოციალისტური საზოგადოების მშენებლისაგან შემდგარი რაზმი, რომლის უფლებებსა და ინტერესებს სტალინური კონსტიტუცია იცავს.

სოციალიზმმა გაიმარჯვა ქალაქადაც და სოფლადაც. ათი წლის წინათ კომუნისტური პარტია კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ეს იყო „უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი"). საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებაში, ახალი სოფლის ადამიანის, ისეთი ადამიანის აღზრდაში, რომელიც შრომასა და საზოგადოებრივ საკუთრებას სოციალისტურად ეპყრობა, სოფლის მასწავლებლობა დიდ როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს.

სოფლად მასწავლებელი ხშირად იყო კოლექტივიზაციის ინიციატორი და წურბელა კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის წამომწყები. დაჯილდოებულ მასწავლებელთა სიაში ასობით არიან კოლმეურნეობათა ორგანიზატორები, საკოლმეურნეო წყობილების პროპაგანდისტები და აგიტატორები. როდესაც რევოლუცია სულ უფროდაუფრო ფართოდ და ღრმად ვრცელდებოდა სოფელში, ამ დროს მხოლოდ მონური სულის პატრონ ადამიანს, მხოლოდ ჩინოვნიკს, ფუტლარში მოთავსებულ ადამიანს შეეძლო განზე დარჩენა, გულგრილ მაყურებლად ყოფნა. თავისი მასით მასწავლებლობამ რევოლუციის პირველსავე წლებში შეიგრძნო და შეიცნო ბოლშევიკური სიმართლე და გაბედულად გაჰყვა მას.

ლენინი და სტალინი არაერთხელ მიგვითითებდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლობას რევოლუციაში. 1920 წელს ლენინი წინადადებას იძლეოდა „აღვზარდოთ პედაგოგ მასწავლებელთა პერსონალის ახალი არმია, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პარტიასთან, მის იდეებთან, გამსჭვალული უნდა იყოს მისი სულისკვეთებით, უნდა მიიმხროს მუშათა მასები, გამსჭვალოს ისინი კომუნიზმის სულისკვეთებით, დააინტერესოს ისინი იმით, რასაც კომუნისტები აკეთებენ". ამხანაგი სტალინი მასწავლებელთა პირველი ყრილობისათვის გაგზავნილ მისალმებაში 1925 წელს, სწერდა, რომ „სახალხო მასწავლებელთა ფალანგა შეადგენს ჩვენი ქვეყნის იმ მშრომელთა დიდი არმიის ერთერთ უაღრესად საჭირო ნაწილს, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ სოციალიზმის საფუძველზე".

სახალხო მასწავლებელთა ფალანგა მტკიცედ და სამუდამოდ შეუერთდა მშრომელთა მასას, გახდა განათლების, საბჭოურად აღზრდისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლის უდიდესი არმია. იმის მეოხებით, რომ პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ სახალხო განათლებისათვის, რევოლუციის წლებში აშენებულია ათიათასობით ახალი სკოლა, გაუმჯობესებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება, მომზადებულია ასიათასობით მასწავლებელი, გაუმჯობესებულია მასწავლებლობის მატერიალური მდგომარეობა (თუ 1933 წელს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა ხელფასისათვის 1.171 მილიონი მანეთი იხარჯებოდა, 1937 წელს ეს ხარჯები 4.098 მილიონ მანეთამდე გაიზარდა).

დაჯილდოებულთა შორის არის მასწავლებლობის სამი თაობა. მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სოფლის ძველი მასწავლებლები, რომლებმაც თავიანთ ზურგზე გადაიტანეს რევოლუციამდელი სკოლის მთელი სიდუხჭირე — ღატაკური ხელფასი, მეთვალყურეობა ხუცისა და ურიადნიკის მხრივ, დაცინვა მეფის ხელისუფლების დიდ და პატარა წარმომადგენელთა მხრივ, რომლებიც თითქმის ყოველ მასწავლებელში ხედავდნენ თავისუფალ მოაზროვნეს და „საფუძვლების ძირგამომთხრელს". მასწავლებელთა უფროსი თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნის იულია მიხეილის-ასული სადეიევა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სკოლას შესწირა. სოფელ კაზანსკოეში (მოსკოვის ოლქის პავლოვო - პოსადსკის რაიონი) იგი მთელ სამ თაობას ასწავლიდა — ახლა იულია მიხეილის-ასული თავისი პირველი მოწაფეების შვილიშვილებს ასწავლის. მასწავლებლობის უფროსი თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნიან წარჩინებული უკრაინელი მასწავლებელი კორნეი პავლეს-ძე შუმანოვსკიც, გრიგოლ ლევანის-ძე გლურჯიძეც, მზიური საქართველოს გორის რაიონიდან, ანა მირონის-ასული კოსტრიკოვა, სერგეი მირონის-ძე კიროვის და, სკოლის სხვა ასობით ვეტერანი.

ბევრი შესანიშნავი წარმომადგენელი მოგვცა მასწავლებლობის მეორე თაობამ, საბჭოთა გაწვევის თაობამ. ესენი არიან პედაგოგიური შრომის ნამდვილი ოსტატები, რომლებიც ამდიდრებენ და წინ სწევენ საბჭოთა პედაგოგიკას. ასეთია ტულის ოლქის ტეპლო-ოგარევის რაიონის ანოვსკის სკოლის მასწავლებელი ქალი ანა ანისიმეს-ასული ბაბანინა, საუცხოო აღმზრდელი, თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი.

დაჯილდოებულთა შორის ფართოდ არის წარმოდგენილი იმ მასწავლებელთა ახალგაზრდა თაობაც, რომლებიც ენთუზიაზმით მუშაობენ სკოლაში და იძლევიან სოციალისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდის ბრწყინვალე ნიმუშებს. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენენ მასწავლებელი ქალი ერმუშკინა გორკის ოლქიდან, ამხ. ვოლკოვა კალინინის ოლქიდან — გაბედული ნოვატორი და პედაგოგიკის დიდი ოსტატი, ქალიშვილი არანაკლებ შესანიშნავი მამისა — მასწავლებელ ვოლკოვისა, რომლის სახელსაც ატარებს ის სკოლა, სადაც მისი მამა მუშაობდა და ახლა თვითონ იგი მუშაობს.

პარტიის XVIII ყრილობამ მესამე ხუთწლედის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა საყოველთაო-საშუალო სწავლების განხორციელება ქალაქად და საყოველთაო შვიდწლიანი საშუალო სწავლების დამთავრება სოფლად და ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში. დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში მესამე ხუთწლედის დასასრულისათვის იზრდება 8,6-დან 12,4 მილიონამდე, ხოლო სასოფლო ადგილებში — 20,8-27,7 მილიონამდე. ამ ათეულ მილიონთა სწავლება და აღზრდა ადვილი საქმე როდია.

საჭირო იქნება მასწავლებელთა უკვე არსებული არმიის მთელი ძალებისა და ენერგიის მობილიზაცია. საჭირო იქნება უდიდესი შევსება ახალი კადრებით (დაახლოებით 550-600 ათასი კაცი), რომლებიც მომზადებული იქნებიან ძველ, გამოცდილებით შეიარაღებულ მასწავლებელთა დახმარებით. ახალ გაწვევას ისე, როგორც მთლიანად მასწავლებლობას, უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ აწარმოოს საბჭოურად აღზრდა, ისეთი ადამიანის აღზრდა, რომელსაც ექნება ადამიანის ყველაზე უკეთესი თვისებანი და, უწინარეს ყოვლისა — უსაზღვრო სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მასწავლებლობის მთელი მასა დაეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნას. ამ თეორიის ცოდნის გარეშე, პრაქტიკულად მისი გამოყენების უნარის გარეშე წარმოუდგენელია იყო საბჭოთა ხალხის ახალ თაობათა სრულფასოვანი აღმზრდელი.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, რაც უკვე მასწავლებლობაში მასობრივი მოძრაობა გახდა, დაგვეხმარება იმ მხრივ, რომ ყველა სკოლა ავიყვანოთ საუკეთესოთა დონემდე. ეს ავალებს განსახკომებს და მათს ორგანოებს ადგილებზე გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლისადმი ხელმძღვანელობა, წაახალისონ და განავითარონ განათლების არმიის მოწინავე მებრძოლთა შემოქმედებითი ინიციატივა.

მასწავლებლობის წამყვანი ნაწილის მოვალეობაა იმუშაოს კიდევ უფრო უკეთ და დაეხმაროს ჩამორჩენილებს. საბჭოთა მასწავლებლობის მთელი არმიის მოვალეობაა მიჰბაძოს მოწინავეებს, დაეუფლოს მათს ოსტატობას.

„პრავდის" მოწინავე, 6/V.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

5 მაისს საღამოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მთავრობამ კრემლში მიიღეს ჯარის საპირველმაისო პარადის მონაწილენი. 17 საათისთვის კრემლის დიდი სასახლის დარბაზებში შეიკრიბნენ მებრძოლნი, მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები. აქ არიან: მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდლობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენელნი, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები.

17 საათი და 45 წუთია. გიორგის დარბაზში შემოდიან ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ნ. მ. შვერნიკი.** ოვაციები მრავალი წუთის განმავლობაში ჰქუხს კრემლის დიდი სასახლის კედლებში, გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები ამხანაგ **სტალინისა** და მის თანამებრძოლთა პატივსაცემად.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიჰმართავს თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი **კ. ე. ვოროშილოვი.**

ამხ. ვოროშილოვი ლაპარაკობს უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო - საზღვაო ფლოტზე. მათ შესანიშნავ წარმომადგენლებზე, რომლებმაც 1 მაისს ჩვენი ქვეყნის უდიდეს ქალაქთა მოედნებზე, დედაქალაქის წითელ მოედანზე ცხადჰყვეს თავიანთი ორგანიზებულობა თავიანთი ძალა, იარაღის ხმარების უნარი. სახალხო კომისარი მხურვალედ ესალმება ჩვენს საუცხოო ქვეითს ჯარისკაცებს, შესანიშნავ ცხენოსნებს, საუცხოო მფრინავებს, არტილერისტებს, ტანკისტებს—თავდაცვის ყოველი დარგის იარაღის ოსტატებს.

შემდეგ ამხანაგი ვოროშილოვი ლაპარაკობს დიად საბჭოთა ხალხზე, რომელმაც პირველმა აღმართა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისათვის ბრძოლის დროშა და ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია ამ საქმეში.

ერთი გრძნობით გამსჭვალული ყველა დამსწრე ფეხზე დგება, როცა ამხანაგი ვოროშილოვი ახსენებს იმის სახელს, ვინც რაზმავს, წარმართავს, წინ მიუძღვის არმიასაც და ხალხსაც — ყველა მშრომელისათვის მშობლიურ სახელს დიდი **სტალინისას.** სასახლის დარბაზებში დიდხანს არ სცხრება მქუხარე ოვაცია, გაისმის მგრგვინავი, მძლავრი „ვაშა" ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ტაში და მისასალმებელი შეძახილები კვლავ გაისმის დარბაზში, როცა ამხ. ვოროშილოვი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელით მიესალმება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ ივანეს-ძე **კალინინს.**

თბილად და გულმხურვალედ მიესალმა ვოროშილოვი ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილ ღირსეულ ადამიანებს, საბჭოთა ხალხის მამაც შვილებს — **საბჭოთა კავშირის** სახელოვან გმირებს, როგორც დღეს აქ დამსწრეთ, ისე იმათ, ვინც დღეს აქ არ არის.

აღფრთოვანებული ოვაციით შეხვდნენ დამსწრენი ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვის** მოკლე სიტყვას, რომელშიაც მან დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ძალთა საყვარელ ხელმძღვანელს, თავდაცვის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვს.** კრემლის სასახლის დარბაზებში დიდხანს გაისმის წითელარმიული და წითელფლოტური მძლავრი „ვაშა" შესანიშნავი პროლეტარული სარდლის, არმიისა და ხალხის საყვარელი ადამიანის — ამხანაგ **ვოროშილოვის** პატივსაცემად.

ამის შემდეგ ამხანაგი **სტალინი** მეტად გულთბილი სიტყვებით გამოსთქვამს მისალმებას წითელი ავიაციის უშიშარი შვილების ამხანაგ კოკინაკისა და გორდიენკოსადმი. დარბაზში დიდხანს ჰქუხს აღფრთოვანებული ოვაცია.

საპირველმაისო პარადის ყველა მონაწილის სახელით მოკლე სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. ვ. ბელიაკოვი. მან მხურვალე მადლობა გამოსთქვა იმ მეგობრული, გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებითაც ამხანაგი ვოროშილოვი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით მიესალმა საბჭოთა კავშირის გმირებს, მიესალმა საპირველმაისო პარადის ყველა მონაწილეს.

— ამხანაგო სახალხო კომისარო! ამხანაგო მთავრობის წევრებო! — ამბობს ამხ. ბელიაკოვი, — საბჭოთა კავშირის გმირები მუდამ ფხიზლად იდგნენ და იდგებიან საბჭოთა კავშირის ძლიერების სადარაჯოზე. ჩვენი მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, ქვეითნი, ცხენოსნები მზად არიან პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე გადაეშვან ბრძოლაში თავიანთი დიადი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საპირველმაისო პარადის მონაწილეთათვის და სტუმრებისთვის, რომელნიც მიღებას დაესწრნენ, გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანმა ანსამბლმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის პროფ. ა. ვ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით და დედაქალაქის გამოჩენილმა მსახიობებმა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ვ. ბარსოვამ, მ. ო. რეიზენმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა არტისტებმა ი. ს. კოზლოვსკიმ, დ. ლ. ყარა-დმიტრიევმა, მ. დ. მიხაილოვმა, პ. მ. ნორცოვმა, ს. ვ. ობრაზცოვმა, მსახიობებმა ე. ი. ანტონოვამ, იგორ ილინსკიმ, სრულიად-საკავშირო და საერთაშორისო კონკურსთა ლაურეატებმა ემილ გილელსმა და მარინა კოზოლუპოვამ, სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტებმა ო. ლეპეშინსკაიამ და რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ერმოლაევმა, სახელმწიფო ესტრადის მსახიობებმა ა. რედელმა და მ. ხრუსტალიოვმა, სახელმწიფო ცირკის მსახიობებმა მ. ა. და ტ. ა. პტიცინებმა, მოსკოვის ოპერეტის თეატრის მსახიობებმა — რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. ს. ვოლოდინმა, მსახიობებმა ვ. ტ. კარპოვმა და ე. ფ. სავიცკაიამ. (საქდესი).

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

(ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 6 მაისი. „პრავდა", „იზვესტია", „კომსომოლსკაია პრავდა" და „უჩიტელსკაია გაზეტა" აქვეყნებენ სოფლის სკოლების იმ მასწავლებელთა სიებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. სულ, როგორც ცნობილია, დაჯილდოებულია სოფლის სკოლების 4.331 მასწავლებელი. 5 და 6 მაისის ნომრებში გაზეთებმა გამოაქვეყნეს დაჯილდოებულთა 1.236 გვარი. გადმოგცემთ საქართველოს სსრ დაჯილდოებულ მასწავლებელთა პირველ სიას.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მარიამ ალექსის-ასული აბრამიშვილი — თბილისის რაიონის ძეგვის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მარიამ ვასილის-ასული ბახუტაშვილი — თელავის რაიონის ზემო-ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გრიგოლ ლევანის-ძე გლურჯიძე — გორის რაიონის ბერშუეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ბარბარე იასონის-ასული ჯალაღანია — ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხ-სალიეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით — ნახაპეტ აკოფის-ძე აკოფიანი — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ბოგდანოვკის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ანასტას მიტროფანეს-ძე ანასტასოვი — წალკის რაიონის წალკის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელი, ნიკოლოზ ორენტის-ძე ახვლედიანი — საგარეჯოს რაიონის ხაშმის საშუალო სკოლის დირექტორი, პლატონ გოგის-ძე აშუბა—აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის ჯგერდის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, ტაისია ოსიპის-ასული ბაზილევიჩი — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის მერხეულის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, გერონტი ისაკის-ძე ბასილაშვილი — წითელწყაროს რაიონის სოფელ მაჩხაანის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ნადეჟდა მინას-ასული ბენდუქიძე — სამტრედიის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ვასილ მიხეილის-ძე ბერძენიშვილი — ბაშკიჩეთის რაიონის საშუალო სკოლის დირექტორი, პავლე ივანეს-ძე ბირკაძე — ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ნიკოლოზ პავლეს-ძე გოგიტაური — დუშეთის რაიონის სოფ. ჰოპორტის საშუალო სკოლის დირექტორი, ოლღა კონსტანტინეს-ასული გურიელიძე — ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის საშუალო სკოლის დირექტორი, გალაქტიონ ერასტის-ძე დანელია — აბაშის რაიონის მარნის საშუალო სკოლის დირექტორი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით — შურა თეოფანეს-ასული ბარაბაძე — წულუკიძის რაიონის სოფელ პომპეხიდის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, თამარ დავითის-ასული ბერძენიშვილი — ალბულაღის რაიონის სოფელ მანგლისის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, იულიანე თომასის-ძე ბოზუა — აფხაზეთის ასსრ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკას არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, ზინაიდა გიორგის-ასული ბოლაშვილი — სიღნაღის რაიონის ჯუგაანის დაწყებითი სკოლის გამგე, მაქსიმე თევდორეს-ძე გობეჯიშვილი — ონის რაიონის, ღების საშუალო სკოლის დირექტორი, პაშა ივანეს-ასული გოგორიშვილი — ვანის რაიონის ისრითის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, თამარ ბესარიონის-ასული ჯაფარიძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხუნევის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, იოსებ ბესარიონის-ძე ჯიქია — გეგეჭკორის რაიონის ბანძის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ავქსენტი ვახტანგის-ძე ძიმისტარაშვილი — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — ბაბილინა დიმიტრის-ასული ვაშაკიძე — სამტრედიის რაიონის ჯიხაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, არკადი ვლადიმერის-ძე ვეფხვაძე — ბორჯომის რაიონის სოფელ კორტანეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, მარიამ გიორგის-ასული გუგუნაშვილი — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ქალქვა-ნამესრალის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ნინო კონსტანტინეს-ასული ძინძიბაძე — ჭიათურის რაიონის სოფელ საჩხერის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — არუსიაკ აშოტის-ასული აივაზიანი — ახალციხის რაიონის ცხრუტის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, დავით გრიგოლის - ძე აკიაშვილი — ყაზბეგის რაიონის სნოს არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, თამარ სტეფანეს-ასული ალადაშვილი — წითელწყაროს რაიონის არბოშიკის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ლუკიანა ერასტის-ასული ალანია — ხობის რაიონის შუა-ქვალონის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ანა ალექსანდრეს-ასული ასათიანი — ქვემო-სვანეთის რაიონის ლენტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ნაბი ახმედ-ოღლი ახმედოვი—ბაშკიჩეთის რაიონის ყიზილ-ქილისის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ალექსანდრე ბესარიონის-ძე ბექაია — გორის რაიონის სოფელ ტყვიავის საშუალო სკოლის დირექტორი, ვარძელ ანდრიას-ძე ვარძელიანი — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. განძას საშუალო სკოლის მასწავლებელი, სოსო მურზას-ძე ვიბლიანი — ზემო-სვანეთის რაიონის თავრადის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ნინო ვასილის-ასული გაბატაშვილი — თბილისის რაიონის, ს. ბაგების დაწყებითი სკოლის გამგე, ნიკოლოზ რამანის-ძე გვაზავა — წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზაქარია დიმიტრის-ძე ჯიოევი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხვცეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯიხვაშვილი — ტყიბულის რაიონის მუხურის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მარიამ დავითის-ასული ჯორბენაძე — ცხაკაიას რაიონის თეკლათის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, რომანოზ კონდრატეს-ძე ძაძამია — გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

○

მოსკოვი, 7 მაისი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია სოფლის სკოლების იმ მასწავლებლების სიის გაგრძელება, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და რომლებიც სასკოლო სწავლებისა და ბავშვთა საბჭოურად აღზრდის საქმეში შესანიშნავი წარმატებებისათვის, სასწავლო მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისა და სოფლად საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. დღეს გამოქვეყნებულია 782 დაჯილდოებულის გვარები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულთა სიაშია პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძე — ხაშურის რაიონის ხაშურის საშუალო სკოლის მასწავლებელი და ვლადიმერ კუზას-ძე ქეცბაია—გალის რაიონის სოფ. პირველი გალის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა რიცხვში არიან: ალექსანდრე გიორგის-ძე კაზოევი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის ზნაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი და აგნესა სოლომონის-ასული კილასონია—ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით საქართველოდან დაჯილდოებული არიან: აპოლონ ივანეს-ძე ქვასხაძე — ლუქსემბურგის რაიონის სოფ. წითელი სოფელის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, მიხეილ ალექსანდრეს-ძე კვაჭაძე — დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, გალაქტიონ იაკინთეს-ძე კობახიძე — ამბროლაურის რაიონის სოფ. სინათლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ნინო დიმიტრის-ასული კორინთელი — გორის რაიონის სოფ. ტყვიავის საშუალო სკოლის მასწავლებელი და ვერა ერასტის-ასული ლიპარტია — აბაშის რაიონის კვათანის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულთა შორის არიან: მარიამ სამსონის-ასული დუმბაძე — მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ვარია ეგიაზარის-ასული ჟამკოციანი — ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩანდურის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ანასტასია ზაქარიას-ასული ზაუტაშვილი—ყვარლის რაიონის ყვარლის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ტერეზია ნიკოლოზის-ასული იმნაიშვილი — ხაშურის რაიონის სოფ. ტაშისკარის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, დაშტან შევკეთ - ოღლი კაზოევი — ახალქალაქის რაიონის ოკამის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჟენია ალექსის-ასული ქარჩავა—ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, კასუმ ახმედ-ოღლი კასუმოვი—ყარაიის რაიონის ავტაკლიას დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ქეთევან აფრასიონის-ასული კვინიკაძე — ორჯონიკიძის რაიონის ლაშეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქსენია ალექსანდრეს-ასული კვირიკაშვილი — ბაღდათის რაიონის ბაღდათის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი და მარიამ ილიას-ასული კიკნაძე—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის წუნის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულთა შორის არიან: თამარ სიმონის - ასული ქაჩლიშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ფოტინე პავლეს-ასული კენჭაძე — გეგეჭკორის რაიონის სოფ. კურზუს საშუალო სკოლის მასწავლებელი და ნორა ილიას-ასული მანჩხაშვილი—ხაშურის რაიონის სოფ. ქვიშხეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ხვალ გაზეთებში გამოქვეყნებული იქნება სოფლის სკოლების დაჯილდოებულ მასწავლებელთა სიის გაგრძელება.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲮ. ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲜᲙᲐᲠᲘᲓᲐᲜ

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილეს ამხ. პოტიომკინს, რომელიც ამასწინათ ანკარაში იყო, რამდენიმე საუბარი ჰქონდა თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. აზრთა ურთიერთგაზიარებამ ცხადჰყო შეხედულებათა ერთგვარობა და მისწრაფება, რომ ორივე სახელმწიფოს შორის განმტკიცდეს მეგობრობა საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის.

5 მაისს ამხ. პოტიომკინი მოსკოვს გაემგზავრა. (საქდესი).

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲗᲘᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ათინა, 6 მაისი (საქდესი). გუშინ სსრ კავშირის ათინის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა დიდი დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, მათ შორის თურქეთისა და ბულგარეთის ელჩები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და ათინის მუსიკოსთა და არტისტთა წრეების მრავალი წარმომადგენელი. სტუმრებს უჩვენეს საბავშვო წიგნის ნახატები — ილუსტრაციების გამოფენა, აგრეთვე საბავშვო ფილმი „პო შჩუჩიემუ ველენიუ". გამოფენამ და ფილმმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

10 მაისს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში ამხ. **ვ. ტალახაძე** რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას

„სტალინური მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ"

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები იყიდება საკონცერტო დარბაზის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი № 21.



კრემლის კედლებთან საპირველმაისო ვახტისათვის მოსკოვში ჩამოსული მოსკოვ-ვოლგის არხის თბომავალთა ფლოტილია.

საქდესის ფოტოქრონიკა

ამხ. კოკინაკი და გორდიენკო ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 5 მაისი (საკდესი). დღეს ამხ. კოკინაკი და გორდიენკო ესტუმრნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს (საგარეო საქმეთა სამინისტროს). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის (საგარეო საქმეთა მინისტრის) მოადგილე უელესი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მფრინავებს. შემდეგ ამხ. კოკინაკიმ და გორდიენკომ ინახულეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი ვუდრინგი. ვუდრინგი სამხედრო სამინისტროს სახელით მიესალმა საბჭოთა მფრინავებს. ამხ. კოკინაკიმ და გორდიენკომ სურათი გადაიღეს ვუდრინგთან ერთად.

*

ვაშინგტონი, 5 მაისი (საკდესი). ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის უფროსმა, გენერალმა არნოლდმა გულითადად მიიღო საბჭოთა მფრინავები ამხ. კოკინაკი და გორდიენკო. საუბრის დროს არნოლდმა დაწვრილებით გამოჰკითხა მათ მოსკოვ - ჩრდილოეთ ამერიკის მარშრუტით გადაფრენის შესახებ. ვაშინგტონის მთელი საზოგადოებრიობა მხურვალედ ესალმება სსრ კავშირის მამაც მფრინავებს.

*

ვაშინგტონი, 6 მაისი (საკდესი). გუშინ საბჭოთა მფრინავების ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს პატივსაცემად ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და ფლოტის კლუბში გაიმართა სადილი. სადილს დაესწრნენ: ამერიკის არმიის მაღალი თანამდებობის პირთა დიდი ჯგუფი, ავიაციის სპეციალისტები, ინჟინრები და სხვ. წარმოითქვა გმირი საბჭოთა მფრინავების — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უმოკლესი საჰაერო გზის პიონერების სადღეგრძელოები. ამხანაგ კოკინაკისა და გორდიენკოს მრავალი შეკითხვა მისცეს გადაფრენის პირობების შესახებ. უპასუხა რა შეკითხვებზე, ამხ. კოკინაკი დაწვრილებით შეეხო თვითმფრინავ „მოსკოვის“ გადაფრენასთან დაკავშირებულ ყველა სიძნელეს. ამხ. კოკინაკის აზრით, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მომავალი რეგულარული ავიამიმოსვლისათვის გამოყენებული იქნება ჰერმეტულად დახურული კაბინები მგზავრთათვის. დასასრულ, ამხ. კოკინაკი მხურვალედ მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების არმიასა და ხალხს, რომლებსაც მადლობა გადაუხადა გადაფრენის დროს ხელშეწყობისათვის.

შემდეგ ამხ. კოკინაკი და გორდიენკო ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ავიაციის კომიტეტს. კომიტეტის ხელმძღვანელები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მფრინავებს და დიდი ინტერესი გამოიჩინეს მათი გადაფრენისადმი.

საბჭოთა მფრინავებს ყველგან ზეიმით ხვდებოდნენ. გუშინ ამხ. კოკინაკი და გორდიენკო სადარბაზოდ ეწვივნენ ამერიკის მთავრობის მთელ რიგ წევრებს, ამერიკის არმიისა და მეცნიერთა წრეების წარმომადგენლებს. ყველა ისინი გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა გმირ მფრინავებს და უამრავ კითხვებს აძლევდნენ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის საჰაერო გზის დამყარების პრაქტიკული შესაძლებლობის შესახებ. ამერიკელ ჟურნალისტებს გადაფრენის მცირეოდენი დეტალებიც კი აინტერესებდათ. პასუხად ამერიკელთა მისალმებისა, რომელშიაც მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა მფრინავებმა საუცხოო და გმირული გადაფრენა მოახდინეს, კოკინაკიმ განაცხადა, რომ ბევრ საბჭოთა მფრინავს საბჭოთა თვითმფრინავებით დღესვე შეუძლია ჩაატაროს ასეთივე გადაფრენა.

შეკითხვაზე, თუ რაში მდგომარეობს გადაფრენის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები, ამხ. კოკინაკიმ განაცხადა: ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საჰაერო გზის დამყარება სავსებით რეალურ და პრაქტიკულ საქმეს წარმოადგენს. მეორე, საჭიროა უფრო ყურადღებით იქნას შესწავლილი დიდ სიმაღლეებზე საზრდოობის საკითხი. მესამე, საავიაციო ტექნიკის თანამედროვე დონე უშიშარს ჰხდის გზას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის. ასეთი გზის დასამყარებლად უკვე არსებობს ყოველგვარი ტექნიკური პირობა.

*

ვაშინგტონი, 7 მაისი (საკდესი). ამხ. კოკინაკი და გორდიენკო ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრ უოლესს, რომელიც გულთბილად შეხვდა საბჭოთა მფრინავებს, დიდი ინტერესი გამოიჩინა მათი გადაფრენისადმი და განსაკუთრებით ატმოსფეროს ზედა ფენებში გადაფრენის პირობებისადმი. (მიწათმოქმედების სამინისტროს მეტეოროლოგიური ბიურო აწვდიდა თვითმფრინავ „მოსკოვის“ ეკიპაჟს ცნობებს ამინდის შესახებ). შემდეგ ამხ. კოკინაკი და გორდიენკო გაემგზავრნენ ბალტიმორას, სადაც მათ დაათვალიერეს საავიაციო კომპანიის — „გლენ მარტინის“ საწარმოები, აგრეთვე უდიდესი ამერიკული მფრინავი ნავი „იანკი კლიპერი“. იმავე დღეს საბჭოთა მფრინავები ნიუ-იორკს გაემგზავრნენ.

დარბაზობა ამერიკის შეერთებული შტატების საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 6 მაისი (საკდესი). დღეს ვაშინგტონში სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრო რამდენიმე ასეული კაცი, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელნი, სენატორები, კონგრესის წევრები, დიპლომატები, ჟურნალისტები, ამერიკის არმიის უმაღლესი თანამდებობის პირნი და სხვ.

ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენაზე

მიუხედავად არახელსაყრელი წვიმიანი და ცივი ამინდისა, მსოფლიო გამოფენა ნიუ-იორკში უკვე 1 მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. თანდათანობით იხსნება უცხოეთის პავილიონები, რომლებიც გამოფენის გახსნის დღისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. უდიდეს ინტერესს იწვევს საბჭოთა პავილიონი, რომლის გარეგნული მოპირკეთებაც გამოფენის გახსნის დღისათვის დამთავრდა. საბჭოთა პავილიონი გამოფენაზე ერთერთი ყველაზე შესანიშნავი ნაგებობაა. იგი არა ჰგავს სხვა შენობებს და აგებულია ისე, რომ შეიძლება დაიშალოს და გადატანილ იქნას სხვა ადგილას. მისი გარეგნული და შინაგანი მოპირკეთებისათვის გამოყენებულია 9 სხვადასხვა სახის მარმარილო. პავილიონს უჭირავს 12 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი და აშენებულია ნახევარწრის ფორმით. ცენტრში იმ მოედნისა, რომელსაც შენობის ფრთედები ჰქმნის, აღმართულია 20 სართულის სიმაღლის ობელისკი. ობელისკზე დადგმულია დაუჟანგავი ფოლადისაგან გაკეთებული ქანდაკება მუშისა, რომელსაც მაღლა აწეულ ხელში ლალის ვარსკვლავი უჭირავს.

პავილიონის ერთ ფრთედში, რომელიც ყურისაკენ გამოდის, მოწყობილია რესტორანი 250 კაცისათვის. რესტორანში მხოლოდდამხოლოდ რუსული, უკრაინული და კავკასიური კერძები მზადდება. პავილიონის მეორე ფრთედში მოთავსებულია 300-ადგილიანი კინოთეატრი. ამ კინოში საბჭოთა საუკეთესო ფილმებს უჩვენებენ. პავილიონის შიგნით სხვადასხვა ექსპონატს შორის არის საბჭოების სასახლის უზარმაზარი მოდელი, რომელიც გაკეთებულია მარმარილოს, ძვირფასი თვლებისა და უჟანგველი ფოლადისაგან, გამოფენილია აგრეთვე სსრ კავშირის მოზაიკური რუკა. საბჭოთა პავილიონში ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა ფერწერა, სკულპტურა, წიგნები, ხალხური ხელოვნება, შინამრეწველური ნაწარმი, მხატვრული ნაქარგი, ხეზე ნაკეთები ჩუქურთმები და სხვ.

საბჭოთა პავილიონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „საბჭოთა არქტიკის“ განყოფილებას. ამ განყოფილების მთავარი შესასვლელის პირდაპირ მოთავსებულია ფრთაწითელი თვითმფრინავი, რომლითაც გადაფრინდნენ საბჭოთა კავშირის გმირები ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი მოსკოვიდან ა. შ. შტატებში ჩრდილოეთის პოლუსით. ამ განყოფილების ცენტრში მოთავსებულია პაპანინის ცნობილი კარავი, სადაც თავმოყრილია ყოველივე სამეცნიერო-ტექნიკური მოწყობილობა და სამეურნეო ნივთები. საბჭოთა პავილიონი დაახლოებით 16 მაისს გაიხსნება.

○

გამოფენაზე წარმოდგენილია ავტომობილის 1300 სამრეწველო ფირმა; მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ფორდისა და „ჯენერალ მოტორსის“ ავტომობილის ფირმათა პავილიონებს. ფორდის პავილიონის შენობა აგებულია კიბე-კიბედ. მისი სიმაღლე 30 ფუტს (9 მეტრს) უდრის. შენობის სახურავზე დადგმულია სამი მზა ავტომობილი.

პავილიონში გამოფენილია ფორდის პირველი ავტომობილის მოტორი, პირველი ავტომანქანა და ფორდის ქარხნების მიერ გამოშვებულ ავტომობილთა ყველა მოდელი. მნახველნი პავილიონში თვალსაჩინოდ ეცნობიან ავტომობილისა და მისი ყველა დეტალის წარმოების პროცესს, აგრეთვე ნედლეულის მოპოვებას. ყოველივე ეს ნაჩვენები იქნება 87 მოძრავი მოდელისა და დიდი დიორამების საშუალებით, რომლებიც მოთავსებულია 110 ფუტ (30.5 მეტრ) დიამეტრიან მბრუნავ სტენდებზე. პავილიონის კონვეიერს „მომსახურებას უწევს“ მუშათა 142 მექანიკური ფიგურა; ეს ფიგურები ხისაა.

პავილიონს უშუალოდ აკრავს „მომავლის საავტომობილო გზა“. იგი იწყება დიდი ბაღის საზღვრად მდებარე პლატფორმიდან (ამ პლატფორმიდან ჩასხდებიან ავტომობილში). შემდეგ გზა სპირალით ადის მაღლა ბაღის გასწვრივ ფორდის პავილიონისაკენ და შენობის მწვერვალს აღწევს. აქ გზა მინის გვირაბში გადის, გარს უვლის ბაღის ტერიტორიას და უკან ბრუნდება ჩასაჯდომი პლატფორმისაკენ.

„ჯენერალ მოტორსის“ ფირმის პავილიონში მნახველნი განუწყვეტლივ მოძრავ პლატფორმაზე მოთავსებულ დიდ რბილ სავარძლებში სხედან. პლატფორმა ერთ კილომეტრ მანძილს გადის ქალაქების, ფერმების, ვაკეების, მთებისა და ტყეების რთულ დიორამაში. ეს დიორამა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ავტომობილის ტრანსპორტის მომავალ სისტემას—დიდს ტრანსკონტინენტურ გზებს, რომლებიც ქალაქის ქუჩებისა და ბულვარების თავზე გადის, რომ ქუჩაში მოძრაობა არ შეჩერდეს. მთელი ამ მგზავრობის განმავლობაში მნახველთ ახსნა-განმარტება ეძლევათ რადიოთი.

○

გამოფენაზე დიდი ყურადღება აქვთ დათმობილი ბავშვებს. არის სპეციალური განყოფილება „ბავშვთა სამყარო“, აგრეთვე უამრავი სხვადასხვა გასართობი ბავშვებისათვის. ბავშვებს შეუძლიათ „იმოგზაურონ“ სტრატოსფეროში და მარსზე და ჩაეშვან ბატისსფეროში ზღვის ფსკერზე. გამოფენაზე გაყვანილია ერთი კილომეტრი სიგრძის მინიატურული რკინიგზა, რომელიც ყოველგვარად მოწყობილია. ბავშვებს შეუძლიათ წარმოსახვითი მოგზაურობაც კი მოახდინონ დედამიწის ირგვლივ. ამ მოგზაურობის დროს ისინი დაინახავენ მბოლავ ვულკანს, დიდ ჩინურ კედელს, ეგვიპტის სფინქსს და სხვ. მათ შეუძლიათ „იხეტიალონ“ ინდოეთის ჯუნგლებში, ავიდნენ ალპის მთებზე და ნავით ისეირნონ იტალიის ტბაზე. შეიძლება აგრეთვე ავტომობილითაც მოიარონ მთელი გამოფენის ტერიტორია. ბავშვთა სპეციალურ რესტორანში მათ მიერთმევათ ყოველნაირი ნაციონალური საჭმელი. გამოფენაზე არის კარუსელი, ცირკი და სათამაშო მოედნები. ბავშვებს აქ შეუძლიათ გაიცნონ ყველა თამაში, რასაც კი ბავშვები მსოფლიოს რომელსამე ქვეყანაში თამაშობენ. სასპორტო განყოფილებაში ცნობილი მოკრივეები და სპორტის ოსტატები უხსნიან ბავშვებს სასპორტო ვარჯიშობის სხვადასხვა სახეს. აქ შეიძლება კრივის კურსის გავლა, რაზედაც კურსდამთავრებულს მისცემენ ცნობილი მოკრივის ხელმოწერილ მოწმობას.

5 მაისი. (საკდესი).

თბილისი. მაუდის ფაბრიკა. სურათზე: სტახანოველი ნადია პოდკოვიროვა, რომელიც ჩაება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებაში, საწარმოო გეგმას ასრულებს 120 პროცენტით. საქდესის ფოტოქრონიკა

ბეჭდვითი სიტყვის დღე

მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კრება

5 მაისს პროფკავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კრება, მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი. კრებას დედაქალაქის დაახლოებით 1500 ჟურნალისტი დაესწრო. შესავალი სიტყვით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს გამგის მოადგილე ამხ. **ალექსანდროვი.**

— კომუნიზმის დიადი იდეებით აღფრთოვანებულმა ბოლშევიკური პრესის მუშაკებმა, — სთქვა მან, — მთელი ძალა უნდა მოახმარონ პარტიის ყრილობის დიად გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ბოლშევიკური პრესის მუშაკთათვის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

თავის სიტყვაში ამხ. ალექსანდროვი შეჩერდა ბოლშევიკური პრესის უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე. მან დამსწრეთ მოაგონა იმის შესახებ, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მარქსიზმ-ლენინიზმის ბეჭდვითი პროპაგანდის საქმეს.

პრესის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კავშირის მოსკოვის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვოიკოვსკი. მან კავშირის წითელი გარდამავალი დროშა ჩააბარა რკინიგზის ტრანსპორტის გამომცემლობის მუშაკთა კოლექტივს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა შეჯიბრებაში.

კრების მონაწილეებმა დიდი აღტაცებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგ **სტალინს** (საკდესი).

18 ათასი კილომეტრი თვითმფრინავით

დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის ი. პ. მაზურუკის არქტიკული გადაფრენა

5 მაისს მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ი. პ. მაზურუკი, რომელმაც დიდი არქტიკული გადაფრენა დაამთავრა ოთხმოტორიანი „სსრ ნ-169“ თვითმფრინავით. ამ პასუხსაგებ რეისში იგი მოსკოვიდან გაემგზავრა 8 მარტს. მისი გზა დედაქალაქიდან ანადირამდე გადიოდა ყაზანზე, ტიუმენზე, კრასნოიარსკზე, იგარკაზე, კოჟევნიკოვის ყურეზე, ტიქსის ბუხტზე, ამბარჩიკის ბუხტსა და შმიდტის კონცხზე. ანადირიდან თვითმფრინავი ტიქსის ბუხტში გამობრუნდა და ხატანგით, დუდინკით, ამდერმითა და ნარიან-მარით არხანგელსკისაკენ გაემართა. 5 მაისს 8 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით თვითმფრინავი „სსრ ნ-169“ არხანგელსკიდან გამოფრინდა მოსკოვს და აქ 13 საათსა და 24 წუთზე ჩამოვიდა.

○

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში თვითმფრინავ „სსრ ნ-169“ მეთაურმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ი. პ. მაზურუკმა სთქვა:

— ჩვენი არქტიკული მარშრუტის სიგრძე 18 ათას კილომეტრს შეადგენს. გადაფრენის ყველაზე ძნელ უბანს წარმოადგენდა უკანასკნელი ეტაპი: არხანგელსკი — მოსკოვი, ამ უბანზე ჩვენი თვითმფრინავი კიდევაც იყინებოდა.

პოლარული დაზამთრების ადგილას რამდენიმე ტონა ტვირთი მივიტანეთ, მათ შორის გაზეთები, რომლებშიც მოთავსებულია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალები. ჩვენ შევასრულეთ სპეციალური დავალება ლაპტევის ზღვის დაზამთრების ადგილების მოფრენის შესახებ და მოვახდინეთ ყინულთა მოკვლევა. მოსკოვისაკენ გამობრუნებისას გადმოვფრინდით ყინულოვანი ოკეანის სანაპიროების გასწვრივ. ამ გადაფრენამ გვიჩვენა, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ მუდმივად მოქმედი ტრანსარქტიკული საჰაერო ხაზი — არხანგელსკი — ანადირი.

დაზამთრების ადგილებიდან ჩამოვიტანეთ დედაქალაქში ფოსტა და აგრეთვე სხვადასხვა ტვირთი, მათ შორის მასალა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. (საკდესი).

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე

კიევი, 5 მაისი (საკდესი). განსაკუთრებით საქმიან, ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობს მუშაობა საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმისა, რომელიც მიძღვნილია ტ. გ. შევჩენკოსადმი. ეს დღეები სოციალისტური კულტურის დიდ დღესასწაულად გადაიქცა.

იაკუბ კოლასმა, რომელიც დღეს გამოვიდა, თავის მოხსენებაში აღნიშნა ტ. გ. შევჩენკოს შემოქმედების განუყრელი კავშირი ბელორუსულ პოეზიასთან. ბევრი რამ არის საერთო ბელორუსთა და უკრაინელთა ისტორიულ ბედში. ბელორუსებმაც და უკრაინელებმაც თანაბრად განიცადეს ჩაგვრა ლიტველი თავადებისა და პოლონელი მაგნატების მხრით. მრავალი საუკუნის განმავლობაში ორი დიდი მოძმე ხალხი ერთად იბრძოდა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

თავმჯდომარე პ. პანჩი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ქართველ მწერალს ალიო მაშაშვილს.

— არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, ამბობს ამხ. მაშაშვილი, რაც ჩვენ ვიდღესასწაულეთ რუსი ხალხის გენიოსის ალექსანდრე პუშკინის, აგრეთვე შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ოვანეს თუმანიანის იუბილეები. ახლა ჩვენ ვდღესასწაულობთ უკრაინელი ხალხის დიდი კობზარის — ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს იუბილეს. ეს სასიხარულო დღეა სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის, მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობისათვის. ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიამ უზრუნველჰყო საბჭოთა სოციალისტური კულტურის სწრაფი განვითარება.

ტ. გ. შევჩენკოს პოეტიკისადმი მიძღვნილი ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ორდენოსანი პოეტი მაქსიმ რილსკი.

დილის სხდომის დასასრულს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმმა მიიღო მისალმება სსრ კავშირის სახალხო არტისტის ორდენოსან საქსაგანსკისადმი მისი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით. პლენუმი მიესალმა იუბილარს —უკრაინული სცენის გამოჩენილ ვეტერანს.

○

კიევი, 6 მაისი (საკდესი). გუშინ პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ორდენოსანი მწერლის კორნეი ჩუკოვსკის მკაფიო, შინაარსიანი მოხსენება „ტ. გ. შევჩენკოს თარგმანები“. მომხსენებელმა უამბო პლენუმს, თუ როგორ ამახინჯებდნენ კლასობრივად მტრული მთარგმნელები სლავინსკი და მისი მსგავსნი შევჩენკოს ნაწარმოებთა შინაარსს, პოლიტიკურ დედაარსს აცლიდნენ მის პოეზიას, ავულგარებდნენ მას. მთარგმნელთა საზიზღარი თვითნებობა და კრიტიკის სრული წაყრუება გრძელდებოდა 70 წლიწადს, თვით დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

კორნეი ჩუკოვსკი ლაპარაკობს, რომ ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის. ჩვენს სამშობლოში მოსახლე ერების ყველა ენაზე მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოდის პოეტის უკვდავი ნაწარმოებები. ახლანდელი თარგმანების თავისებურებას შეადგენს პოეტის ხალხური, რეალისტური ფოლკლორული სტილის სავსებით შენარჩუნება.

— ტარას შევჩენკო სწერდა,—ამბობს ჩუკოვსკი,—რომ დაწყებული მოლდაველით და გათავებული ფინელით ყველა ენაზე ყველა სდუმს, ახლა კი, ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, დიდი სტალინის გენიის მეოხებით, დაწყებული მოლდაველით და გათავებული ფინელით ყველა ენაზე ყველა ალაპარაკდა.

პლენუმს მიესალმნენ უკრაინის თეატრებისა და უკრაინის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის წარმომადგენლები.

○

კიევი, 6 მაისი (საკდესი). მესამე დღეა განაგრძობს მუშაობას სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, მიძღვნილი ტარას შევჩენკოსადმი. უკრაინელი ხალხის დიდი მგოსნის ტარას შევჩენკოს შესახებ მოხსენებებით გამოდიან მწერლები, აკადემიკოსები, კრიტიკოსები, მხატვრები.

საინტერესო მოხსენება გააკეთა დღეს ამხ. მ. აპლეტინმა თემაზე „შევჩენკო და დასავლეთი“. მან აღნიშნა, რომ პოეტის უკვდავი ნაწარმოებები გამოცემულია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, სერბულ, შვედურ, რუმინულ, ბულგარულ და სხვ. ენებზე, მოიყვანა ციტატები უცხოეთის გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რომელნიც აღნიშნავენ ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავს.

ახალგაზრდა მხატვარი ამხ. რაევსკი გამოვიდა მოხსენებით „შევჩენკო—მხატვარი“.

— ძნელია დიდი სახალხო პოეტის შევჩენკოს დაშორება სახალხო მებრძოლ შევჩენკოსაგან, — ამბობს სომეხი მწერალი ამხ. არაზი, — სიტყვა შევჩენკო — ეს უბრალო პოეზია კი არ არის, არამედ ბრძოლაა. მან ისე, როგორც ანთეოსმა, ლიტერატურა დაუახლოვა მიწას — ხალხს. ამაშია მისი უდიდესი დამსახურება... აყვავებული საბჭოთა უკრაინა საუკეთესო ძეგლია ტარასისთვის.

მწერალი რასულ რზა აზერბაიჯანელი ხალხის სახელით მიესალმა პლენუმს. მან უამბო პლენუმს, რომ ერთმა კოლმეურნე ქალმა, წაიკითხა რა ტ. გ. შევჩენკოს პოემა „კატერინა“, აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი, წამოიძახა: „შევჩენკოს ჩემი რევოლუციამდელი ცხოვრება აუწერია“.

— დიდი უკრაინელი პოეტი გარდაიცვალა, — ამბობს ამხ. რასულ რზა, — მაგრამ მისი ხსოვნა სცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს საბჭოთა კავშირის ხალხთა, მისი მდიდარი შემოქმედების მემკვიდრეთა გულში.

მწერალმა დავით გოფშტეინმა უამბო დამსწრეთ, თუ რა გავლენა აქვს ტ. გ. შევჩენკოს შემოქმედებას ებრაულ პოეზიაზე.

შემდეგ პლენუმის მონაწილეები ორდენოსანი რეჟისორის ამხ. დოვჟენკოს კინოსურათს „შჩორსის“ სეანსს დაესწრნენ. მწერლებს ფილმი ძალიან მოეწონათ.

ა. პოტერსკი

ბოლშევიზმის გმირული ისტორიის მუზეუმი

(სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის 15 წლისთავისათვის)

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის 15 წლის იუბილე ბოლშევიკური ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი თარიღია. მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მუშათა კლასს და მის პარტიას შეეძლოთ შეექმნათ მუზეუმი, რომელიც გულმოდგინედ აგროვებს და სწავლობს კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და ახალი კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის მასების გმირული რევოლუციური ბრძოლის უმდიდრეს მასალებს. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელი რევოლუციის მუზეუმის — ბოლშევიკური პარტიის ისტორიის მუზეუმის არსებობა.

15 წლის განმავლობაში მილიონობით ადამიანებმა ინახულეს რევოლუციის მუზეუმის დარბაზები. ლენინური და სტალინური ისტორიული დოკუმენტების ხელნაწერები, ბოლშევიკური ფურცლები და გაზეთები, მგზნებარე, ცეცხლოვანი ლოზუნგები, პროკლამაციები და პლაკატები, საბრძოლო დიდებით მოსილი დროშები, რევოლუციური იარაღი, სამი რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის დიადი ეპოქის ნივთიერი რელიკვიები, სოციალიზმისათვის ბრძოლა, აღბეჭდილი საუკეთესო ოსტატების მხატვრულ ნაწარმოებებში, დოკუმენტებში, ფოტოსურათებში, — ყველაფერი ეს კვლავ განაცდევინებდა ადამიანებს და უფრო ღრმად შეაგნებინებდა ბოლშევიზმის ისტორიას, მის დიდ აზრსა და ძალას.

რევოლუციის მუზეუმის მნახველთა წიგნში მრავალ ათასობითაა ჩანაწერები საბჭოთა მუშებისა, კოლმეურნეებისა, ინტელიგენციისა, ჩანაწერები უცხოეთის მუშათა დელეგაციებისა, ჩანაწერები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა, დიდი მწერლების: მაქსიმ გორკის, რომენ როლანის, ანრი ბარბიუსისა. არ არის უცხოეთის არცერთი მუშათა დელეგაცია, რომელსაც სსრ კავშირში ყოფნის დროს არ გაეტარებინოს რამდენიმე საათი სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში.

იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სწორი მეცნიერული პროპაგანდა, მუზეუმმა უნდა აწარმოოს და აწარმოებს დიდ სამეცნიერო მუშაობას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მასალათა შეგროვებისათვის, მათი შესწავლისა და დამუშავებისათვის. ამ მუშაობას წარმართავენ მითითებები საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგი სტალინისა, რომლებიც უდიდეს დახმარებას უწევენ რევოლუციის მუზეუმს, ყოველდღიურად ზრუნავენ მისი მუშაობის განმტკიცებისა და გაუმჯობესებისათვის. ამხანაგ სტალინის პირად მითითებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მუზეუმის მთელი მუშაობის გარდაქმნისათვის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ და პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

მუზეუმის მუშაობის რადიკალურ გაუმჯობესებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის გაწმენდას ხალხის მტრებისაგან, რომლებიც იქ იყვნენ მოკალათებულნი და ცდილობდნენ ეწარმოებინათ აქ თავიანთი საზიზღარი მავნებლური საქმიანობა და ცილისმწამებლურად დაემახინჯებინათ ბოლშევიზმის სახელოვანი ისტორია.

მნიშვნელოვანი მუშაობის შედეგად რევოლუციის მუზეუმში თავმოყრილია რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მასალების უმდიდრესი ფონდი. დასავლეთისა და აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მასალების შეგროვებაში მუზეუმს დიდი დახმარება აღმოუჩინეს უცხოეთის ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა. მუზეუმის ფონდში ირიცხება რამდენიმე ასეული ათასი დოკუმენტი, ნივთი და მხატვრული ნაწარმოები რევოლუციური ბრძოლის შესახებ.

ამ მასალათა შორის არის უძვირფასესი დოკუმენტები მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ; სვერდლოვის ხელნაწერები და ციხეში ყოფნის დროინდელი ჩანაწერები; ორჯონიკიძის, კუიბიშევის, კიროვის, ლიბკნეხტის დოკუმენტები; მრავალრიცხოვანი მასალები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების — მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, მიქოიანის, ჟდანოვის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ; დოკუმენტები კომინტერნის სექციების ყველაზე თვალსაჩინო ხელმძღვანელთა მოღვაწეობის შესახებ. მუზეუმის არქივში ინახება მშრომელთა ათასობით წერილები და წინადადებები სტალინური კონსტიტუციის პროექტისა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის თეზისების განხილვასთან დაკავშირებით; მუშათა და მშრომელთა წერილები ლენინისა და სტალინისადმი, საწარმოთა პატაკები პირველი და მეორე ხუთწლედების გეგმების შესრულების შესახებ, გლეხთა განცხადებები კოლმეურნეობებში შესვლის შესახებ; 25-ათასელთა წერილები სოფლებიდან, წითელარმიელთა წერილები სამოქალაქო ომის ფრონტებიდან, პოტიომკინელ მეზღვაურთა, 1905 წელში მომხდარი აჯანყების მონაწილეთა წერილები; ფრანგი კომუნარების წერილები; დეკაბრისტების პესტელის, რილეევის წერილები და, ბოლოს, სტეფანე რაზინის „მაცდუნებელი წერილები“.

მუზეუმში შეგროვილია ბოლშევიკური გაზეთების: ლენინური „ისკრის“, „ვპერიოდის“, „პროლეტარის“, „პრავდის“ სრული კომპლექტები; ბოლშევიკური პარტიის ოქტომბრისწინა გამოცემათა, სამოქალაქო ომის დროინდელი ფურცლების უდიდესი რაოდენობა. აქ არის თავისი მოცულობითა და სისრულით მსოფლიოში ერთადერთი კრებული კომუნისტური ფურცლებისა და პლაკატებისა უცხოეთის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით გერმანიიდან და ესპანეთიდან; აქ არის გერცენის ყველა გამოცემანი, 60-იანი წლების პროკლამაციები, პარიზის კომუნის დეკრეტები, იაკობინელთა პროკლამაციები. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ მუზეუმის მიერ შეგროვილი არალეგალური გამოცემები გერმანიის, იტალიის, იაპონიის, უნგრეთის კომუნისტური პარტიებისა, რომლებიც ფაშისტური იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში მამაცურად განაგრძობენ გმირულ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ.

მუზეუმის ნივთიერი რელიკვიების ფონდშია საბჭოთა ქვეყნის ხალხების და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ასობით საჩუქარი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, მრავალრიცხოვანი საჩუქრები ესპანეთის, გერმანიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის და უცხოეთის სხვა ქვეყნების მუშებისა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომის და სხვ. 350 რევოლუციური დროშა.

მუზეუმში თავმოყრილია განსაკუთრებით ძვირფასი მხატვრული ნაწარმოებები რევოლუციის ისტორიისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის თემებზე. ამ კრებულშია სახვითი ხელოვნების უდიდესი ოსტატების: ი. რეპინის, ვ. სეროვის, გეს, პეროვის, კასატკინის, ვერხოტუროვის, ს. ივანოვის და უნიჭიერესი საბჭოთა ოსტატების, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა ი. ბროდსკის, ა. გერასიმოვის, ს. გერასიმოვის, ი. გრაბარის, კ. იუონის, მოქანდაკეების მერკუროვის, შადრის, მუხინას და მრავალი სხვების ნაწარმოებები.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნებამ ნათლად და გარკვევით განსაზღვრა რევოლუციის მუზეუმის მთელი მუშაობის გარდაქმნის ამოცანები. მუზეუმს ამოცანად დაესახა გახდეს ძირითადად და უწინარეს ყოვლისა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მუზეუმად, სტალინურ სახელმძღვანელოსთან სრული შესაბამისობით აჩვენოს ბოლშევიკური პარტიის მთელი გმირული ისტორია და მის გამარჯვებათა დიადი შედეგები — სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ლენინის მუზეუმისაგან განსხვავებით, რომლის დარბაზები მოიცავენ ილიჩის ცხოვრების პერიოდს (1870 — 1924), რევოლუციის მუზეუმმა უნდა გვიჩვენოს აგრეთვე სოციალიზმის აშენების, სტალინის ხელმძღვანელობით ლენინის ანდერძის განხორციელების მთელი შესანიშნავი სტალინური ეპოქა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უდიდესი დახმარებისა და მუზეუმის კოლექტივის დიდი მუშაობის შედეგად ამჟამად მუზეუმში საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს თვითეულ თავს მიძღვნილი აქვს რამდენიმე დარბაზი.

ათასობით ადამიანები აქ ლენინურ და სტალინურ დოკუმენტებზე, მასების რევოლუციური ბრძოლის მასალებზე სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ცოცხალ ისტორიას. სახელმძღვანელოს შესაბამისად მუზეუმის ექსპოზიციის გარდაქმნისათვის მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მუზეუმმა უკვე შესძლო აესახა და ეჩვენებინა თავის დარბაზებში პარტიის მთელი გზა საკ. კ. პ. (ბ) თვით XVIII ყრილობამდე და მის ისტორიულ გადაწყვეტილებებამდე, რომლებიც სახავენ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზებს. მაისში, თავისი იუბილეს დღეებში, მუზეუმი ხსნის კომუნისტური ინტერნაციონალის ისტორიის დიდ გამოფენას. უკანასკნელი თვეების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა რევოლუციის მუზეუმის მნახველთა რიცხვი. არა მარტო ათასობით ორგანიზებული ექსკურსიები, არამედ ასიათასობით ერთეული მნახველები სწავლობენ მუზეუმის უძვირფასეს დოკუმენტებსა და მასალებს. მუზეუმი ატარებს დიდ საკონსულტაციო მუშაობას. მუზეუმი ყოველდღიურად ათეულობით იღებს წერილობით შეკითხვებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესახებ. მისი მეცნიერი მუშაკები ჰგზავნიან პასუხებს საბჭოთა კავშირის ყველაზე შორეულ კუთხეებში.

ჩვენი ქვეყანა შევიდა „განვითარების ახალ ხანაში, **უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის** ხანაში, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას ადამიანთა—კომუნიზმის მშენებელთა შეგნებაში“ (საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციიდან).

ეს ავალებს სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმს და რევოლუციის მრავალრიცხოვან ადგილობრივ მუზეუმებს მთელი მუშაობა აიყვანონ იმ მაღალ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც ვუყენებთ ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი, გმირული ისტორიის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეს.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიის რეზერვებთან სუსტად მუშაობენ

სოფ. ზემოდაგვის (ქობულეთის რაიონი) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა მთელ რაიონში ერთერთი მსხვილი და მძლავრი კოლმეურნეობაა.

კოლმეურნეობაში წამყვან დარგს ჩაი და ციტრუსოვანი კულტურები წარმოადგენენ. გასულ წელს კოლმეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: ჩაის ერთ ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციაზე მიიღო 4.511 კილოგრამი მწვანე ფოთოლი.

ეს წარმატებანი მიღწეულ იქნა არა ერთბაშად, არა თვითდინებით, არამედ ორგანიზებული ბრძოლის შედეგად. საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია (პარტორგი — ამხ. ნ. ცაცანიძე) სათავეში ედგა მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლას. იგი რაზმავდა კოლმეურნეებს, ზრდიდა სტახანოველთა რიგებს. ახლა კოლმეურნეობაში 104 სტახანოველი კოლმეურნეა. სტახანოველმა სიდერეპულომ (№ 16 ბრიგადის ბრიგადირი) 1938 წელს ერთ ჰექტარ პლანტაციაზე საშუალოდ აიღო 5.391 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მან 1.230 შრომადღე გამოიმუშავა და მარტო ფულად მიიღო 18.839 მანეთი, ხატიჯე გათანაძემ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გამოიმუშავა 1.140 შრომადღე და მიიღო ფულად 17.843 მანეთი.

პარტიულმა ორგანიზაციამ დახმარება გაუწია კოლმეურნეობის გამგეობას შრომის ორგანიზაციის საქმეში. საწარმოო ბრიგადებზე მიმაგრებული არიან პარტორგანიზაციის მიერ გამოყოფილი აგიტატორები, რომლებიც ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე. ისინი ამჟამად კოლმეურნეებს აცნობენ XVIII პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. მაგრამ საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია მეტად ნელა ზრდის თავის რიგებს. ამჟამად პარტორგანიზაციაში პარტიის მხოლოდ 9 წევრი და 13 კანდიდატი ითვლება, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ აქ სუსტად მუშაობენ პარტიის რეზერვებთან; არ ეხმარებიან მათ, აქტიურად არ იზიდავენ პარტიულ ცხოვრებაში.

უკანასკნელ ხანებში პარტორგანიზაციის ირგვლივ მძლავრი რეზერვები შეიქმნა. მოწინავე სტახანოველი კოლმეურნეები აქტიურად არიან დარაზმულნი პარტიული ორგანიზაციის გარშემო. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—მტკიცე ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვით ზარდოს თავისი რიგები კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანთა ხარჯზე.

პ. რუსია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორი

ტყიბულის რაიონული პარტაქტივის კრება

(ტყიბული, საკ. კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის ბერიას სახელობის თეატრში მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა რაიონული პარტაქტივის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების განხილვისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების შესახებ ღრმაშინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ყრილობის დელეგატი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი ამხ. ვ. ევნატაშვილი. მოხსენების გამო კამათში გამოსული ამხანაგები: ე. ბუბაშვილი (განათლების განყოფილების გამგე), ა. ქასრაშვილი (რაიაღმასკომის თავმჯდომარე), ვ. ნანიკაშვილი (სტალინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი), ლ. მარიახინი (ახალი შახტების მშენებლობის სამმართველოს უფროსი), პ. ბაქრაძე (ალკკ ტყიბულის რაიკომის მდივანი), დ. კუბლაშვილი (გურნის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე) და ფ. ქასრაშვილი (საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი) ერთხმად იწონებდნენ და უერთდებოდნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ლაპარაკობდნენ პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის უკეთ დაყენებაზე, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის, კადრების გამოზრდისა და დაწინაურების, სახალხო განათლების, ინტელიგენტებთან მუშაობის გაფართოების, ქვანახშირის ამოღების გადიდების, ჩაის პლანტაციებისა და ხეხილის ბაღების გაშენების და სხვა საკითხების შესახებ.

დასასრულ, აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერთხმად მოიწონა XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებები.

აქტივმა ტაშის გრიალში მიიღო მისალმება ხალხთა საყვარელ ბელად ამხანაგ სტალინისადმი. მისალმების დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე სსრ კავშირის შინსახკომის სტალინურ ხელმძღვანელს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს — ამხანაგ ლ. პ. ბერიას და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

დ. საბელაშვილი.

გორის მუზეუმის ახალი ექსპონატები

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან გაიხსნა ახალი განყოფილებები. ერთ განყოფილებაში გამოფენილია ქართლის ფრინველები, მწერები, მცენარეები. სპეციალური განყოფილება აქვს დათმობილი ქართლის მინერალებს.

არქეოლოგიურმა განყოფილებამ შეიძინა სოფ. რიყეთში (სკრის ხეობა) ყორღნის გათხრის დროს ნაპოვნი ბრინჯაოს ცული (V საუკუნე ჩვენს ერამდე) და ამავე სოფელში ნაპოვნი ბრინჯაოს ფულის ნიშნები—მინები (XII—XIII საუკუნე ჩვენს ერამდე).

ამავე განყოფილებაშია ბრინჯაოს სამაჯურები და თიხის ჭურჭელი (I საუკუნე ჩვენს ერამდე), რომლებიც ნაპოვნია მიწაში გორის თეატრის მშენებლობის დროს.

შეძენილია სოფ. ბნავისში (ატენის ხეობა) ქვის სამარხში აღმოჩენილი 2 სურა მოპრიალებული ზედაპირით (ჩვენი ერის I—II საუკუნე).

წელს გორის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები განაგრძობენ ყორღნების გათხრას ტყვიავსა და რიყეთში. მოეწყობა ექსკურსია ლიახვის ხეობაში იქ დაცული ისტორიული ძეგლების შესასწავლად. (საქდესი).

ხულოს რაიკომის პარტკაბინეტში რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. პეტრე მირინაშვილი ახლადმიღებულ პარტიის წევრობის კანდიდატებთან ატარებს კონსულტაციას XVIII პარტყრილობის მასალებზე.
სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): პეტრე მირინაშვილი, თამარ ჩიხლაძე, დურსუნ მამულაძე, ალი ცეცხლაძე, სიმონ მაჭავარიანი, კლიმენტი მიქავა და თეოლინა ხომერიკი.
ფოტო რ. აკოფოვის.

გ. სუხარევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ებრაელთა ავტონომიური ოლქის საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი.

ებრაელთა ავტონომიური ოლქის ხუთი წელი

1934 წლის 7 მაისს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ებრაელთა ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის განუწყვეტელი მზრუნველობის მეოხებით ებრაელმა ხალხმა, რომელიც დევნილი და ჩაგრული იყო ყოფილ მეფის რუსეთში, მიიღო თავისი საბჭოთა სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებთან ხელიხელჩაკიდებული აშენებს თავის ბედნიერ ცხოვრებას, ანვითარებს თავის კულტურას — ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურს.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პირმშომ — ებრაელთა ავტონომიურმა ოლქმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ოლქის სახელმწიფო და კოოპერატიულ-სარეწაო მრეწველობა 3,5-ჯერ გაიზარდა. ამ წლების მანძილზე ამუშავდა შემდეგი საწარმოები: ლონდოკოვის კირის ქარხანა, ბირაკანის მარმარილოს ქარხანა, ტუნგუსის ხე-ტყის ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, აგურის ქარხნები, ფანერის ქარხანა, ავეჯეულობის ფაბრიკა და მრავალი სხვ. ამ საწარმოთა სამრეწველო პროდუქცია სადდება არა მარტო ოლქში, არამედ მთელ მხარეში და მთელ საბჭოთა კავშირში (ავეჯი, ფანერა, მარმარილო).

იცვლება ოლქის გეოგრაფია. რუკაზე აღინიშნა ტაიგაში აღმოცენებული ახალი საკოლმეურნეო და მუშათა დაბები. იქ, სადაც ოდესღაც იყო რკინიგზის პატარა სადგური ტიხონკაია, აღმოცენდა ახალი ქალაქი — ოლქის სამრეწველო და კულტურული ცენტრი — ბირობიჯანი. ქალაქშია ასზე მეტი ორსართულიანი სახლი, ქუჩების ფართო მაგისტრალები დაფარულია ქვითა და ასფალტით. მესამე ხუთწლედის განმავლობაში ქალაქი მიიღებს წყალსადენს, კანალიზაციას, დამთავრდება თბოელექტროცენტრალის მშენებლობა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რკინიგზის ტრანსპორტმა. ტრანსპორტის 8 ათასი მუშაკიდან, რომლებიც შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, 5 ათასზე მეტი სტახანოველი და დამკვრელია. რკინიგზის ტრანსპორტის მოწინავეთა შორის არიან ისეთები, როგორიცაა ელექტროშემდუღებელი ამხ. გლეიზერი, რომელიც ნორმას 645 პროცენტით ასრულებს, ხარატი ამხ. კალისტრატოვი, რომელიც ოთხ ნორმაზე მეტს იძლევა, ხარატი ამხ. ჩებანი, რომელიც პარტიის XVIII ყრილობის დღეებში დღიურ დავალებას 1200-1500 პროცენტით ასრულებდა.

დიდი გამარჯვებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 1934 წელს ოლქის სათესი ფართობი შეადგენდა 26.958 ჰექტარს, 1938 წელს — 34.115 ჰექტარს. ჩვენი ოლქის სოფლის მეურნეობა შეიარაღებულია მდიდარი სამანქანო ტექნიკით. საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს 120-ზე მეტი კომბაინი, ასობით ტრაქტორები და სხვა მანქანები.

ებრაელი კოლმეურნეები აშენებენ თავის ბედნიერ შეძლებულ ცხოვრებას დიადი რუსი ხალხის დახმარებით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაში. რუსი კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები ეხმარებოდნენ და ეხმარებიან გადმოსახლებულ ებრაელებს სასოფლო - სამეურნეო შრომის ათვისებაში.

გასული ხუთწლედის ყველაზე თვალსაჩინო შედეგს წარმოადგენს ადამიანების ზრდა. შესანიშნავია ჩვენი ოლქის ყოველი წარჩინებული ადამიანის ბიოგრაფია. დაბის ყოფილი მკერავი იოსებ აბრამსკი (კოლმეურნეობა „იკორი“) კოლმეურნეობის საუკეთესო მეღორეა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია. სასაკლაოს მუშა ისააკ როიტბერტი ამჟამად სარძეო-სასაქონლო ფერმის საუკეთესო გამგეა. სამკერვალო ფაბრიკის მაღალკვალიფიციურ გამომჭრელს სტახანოველ ი. ბროდსკის, რომელიც ნორმას 300 პროცენტით ასრულებს, წინათ არავითარი სპეციალობა არ ჰქონია.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა ქსელი. ოლქის 103 სკოლაში (რკინიგზის სკოლებს გარდა) სწავლობს 13 ათასი ბავშვი. სახალხო განათლების ბიუჯეტი 1935 წლის 4,5 მილიონი მანეთიდან გაიზარდა წელს 14,5 მილიონ მანეთამდე. დაარსებულია პედაგოგიური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და რკინიგზის ტექნიკუმები. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ახალი სტამბა, რომელშიც იბეჭდება რუსული და ებრაული საოლქო გაზეთები. გამოდის ებრაული ჟურნალი „ფორპოსტ“.

ვასრულებთ რა პარტიის XVIII ყრილობის მითითებებს ქალაქებში საყოველთაო ათწლიანი სწავლებისა და სასოფლო ადგილებში შვიდწლიანი სწავლების შესახებ, ჩვენ უკვე წელს ვაშენებთ ქალაქ ბირობიჯანში საშუალო სკოლას 880 მოსწავლისათვის, სასოფლო ადგილებში — საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებს.

ბირობიჯანში მთავრდება დიდი ბიბლიოთეკის მშენებლობა, აშენებულია დრამატიული თეატრი და კინოთეატრები. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ებრაულმა თეატრმა, რომელიც ხუთი წელია რაც არსებობს, მოიპოვა ოლქის უფართოესი მასების სიყვარული.

წლითიწლობით იზრდება კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა რაოდენობა. გახსნილია სოციალისტური კულტურის ორი სახლი, მუშაობს 17 ბიბლიოთეკა. ოლქში მუშაობს 18 საავადმყოფო და 46 საფერშლო პუნქტი, კლინიკები, ფიზიოთერაპიული დაწესებულებები და რენტგენოლოგიური კაბინეტი.

გაიზარდა საბჭოთა ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები. ფრიადოსან პედაგოგთა — ამხანაგების დვორკინას, მინკოვას, კაპილევიჩის, კუზმინას, სუროვცევას სახელებს, რომლებმაც მიაღწიეს თავიანთი მოწაფეების 100-პროცენტიან წარმატებას, იცნობს ოლქის თვითეული მშრომელი.

დიდია ოლქის მშრომელთა სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი. პარტიის რიგებში შედიან საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილები, კომუნიზმის საქმისადმი, ლენინ-სტალინის საქმისადმი ბოლომდე ერთგულნი. ჩვენი ფაბრიკებისა და არტელების სტახანოველები და სტახანოველი ქალები, მოწინავე ინტელიგენცია იჩენენ უდიდეს მისწრაფებას შევიდნენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. 1939 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატებად მიღებულია 231 კაცი, მათ შორის 128 საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებია.

სავსებით გარდაიქმნა ებრაელთა ახალგაზრდა ავტონომიური ოლქის სახე ამ ხუთი წლის განმავლობაში! წარმატებები უფრო დიდი იქნებოდა, ხალხის საზიზღარი მტრების — ტროცკისტ - ბუხარინელ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტ ფაშისტ გადაგვარებულთა — ჯაშუშებისა და დივერსანტების საზიზღარი მუშაობა რომ არ ყოფილიყო. ოლქის მშრომელებმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს მტრის ბუდეები და ბოლომდე აღმოფხვრიან ფაშისტთა ნაბოლარებს.

ჩვენი ოლქი ესაზღვრება მანჯურიას, დაპყრობილს იაპონიის იმპერიალისტი მტაცებლის მიერ, რომელსაც თვალი უჭირავს ჩვენს საბჭოთა აყვავებულ შორეულ აღმოსავლეთზედაც. ებრაელთა ავტონომიური ოლქის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ეს კარგად იციან და შემდეგშიც დაუღალავად იმუშავებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებისათვის, უფრო მეტად განამტკიცებენ ჩვენს კავშირს მამაცი წითელი არმიის ნაწილებთან, უფრო ფართოდ გაშლიან მასობრივ თავდაცვითს მუშაობას.

პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას უთმობენ და დახმარებას უწევენ ებრაელთა ავტონომიურ ოლქს. ჩვენი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ღირსეულად გაამართლებენ ამ უდიდეს ნდობას, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ებრაელთა ავტონომიური ოლქი გადააქციონ მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთერთ მოწინავე ოლქად.

აგიტატორის ლექსიკონი

ახსნა-განმარტება ცალკეული სიტყვებისა და ცნებებისა, რომლებიც გაზეთში გვხვდება

აგრესორი

აგრესორი — სიტყვიდან აგრესია—თავდასხმა, შეტევა. აგრესორი სახელმწიფოები, აგრესიული სახელმწიფოები,—ომის გამჩაღებელი სახელმწიფოები, რომლებიც თავს ესხმიან სხვა ქვეყნებს, აწარმოებენ სხვისი ტერიტორიების თავხედური შეიარაღებული დაპყრობისა და ძარცვის პოლიტიკას. ასეთი სახელმწიფოები არიან იაპონია, გერმანია და იტალია, რომლებმაც ურთიერთშორის შეჰკრეს აგრესორთა სამხედრო ბლოკი (კავშირი). აგრესორთა ბლოკმა დაიწყო მეორე იმპერიალისტური ომი, „რომელმაც უკვე მოასწრო თავის ორბიტში ჩაეთრია აზიის, აფრიკის, ევროპის ხუთას მილიონზე მეტი მოსახლეობა“ **(სტალინი).** სხვისი მიწა-წყლის დაპყრობით აგრესორებს იმედი აქვთ გამოასწორონ თავისი საქმეები, აღადგინონ თავისი დანგრეული მეურნეობა.

ისინი არ ხვდებიან წინააღმდეგობას ეგრეთწოდებული დემოკრატიული ქვეყნების: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ,—თუმცა ყველანაირად ლახავენ მათ ინტერესებს. პირიქით, ეს სახელმწიფოები უკან იხევენ აგრესორების წინაშე, ყველაფერს უთმობენ მათ. ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხილა ჭეშმარიტი მიმართულება აგრესორისათვის დათმობის ამ პოლიტიკისა, რომელიც ტარდება ჩაურევლობის დროშით. მთელი საქმე იმაშია, რომ ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობენ ფაშისტური აგრესიის მახვილი მიმართონ სხვა ქვეყნების, უმთავრესად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ატარებს მშვიდობიანობის შენარჩუნების პოლიტიკას და არ ეგება არავითარი პროვოკაციის ანკესზე. ხოლო თუ აგრესორი გაბედავს ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას, იგი გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდება.

„ნეიტრალობის“ ბესტი

აღმოსავლეთის ქვეყნებში ბესტს უწოდებენ ხელშეუხებელ თავშესაფარს, მაგალითად მეჩითს, უცხოეთის საელჩოს, სადაც დევნილ ადამიანს შეუძლია დაიმალოს. ახასიათებდა რა სკანდინავიის ქვეყნების კაპიტულანტების ქცევას, ამხ. მანუილსკიმ თავის მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე სთქვა, რომ ისინი „ფიქრობენ ომისაგან თავი დაიფარონ „ნეიტრალობის“ ბესტში“. „ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკის საშუალებით ისინი ფიქრობენ დაემალონ ომს, თავიდან აიცილონ საერთაშორისო ფაშისტური ყაჩაღობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საჭიროება და აგრესიის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის მოვალეობა (იხ. სიტყვები „ნეიტრალიტეტი“ და „კაპიტულაცია“).

ოქროს ხილვადი მარაგი

ოქროს ხილვადი მარაგი არის ოქროს მარაგი, რომელიც არსებობს სახელმწიფოს კუთვნილ ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ბანკებში და რომლის რაოდენობა ოფიციალურად ქვეყნდება.

ფაშისტურ ქვეყნებში, რომლებიც უკვე აწარმოებენ ომებს და გაცოფებით აჩაღებენ მსოფლიო ომს, ოქრო გაძლიერებით იხარჯება საომარი მასალებისა და ნედლეულის ყიდვაზე.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე მოიყვანა ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ფაშისტურ ქვეყნებს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ოქროს მეტად მცირე მარაგი აქვთ.

დემპინგი

დემპინგი—საქონლის გატანა გადასაყრელ ფასებში — იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტები უცხოეთის ბაზრებზე ჰყიდიან თავისი ქვეყნებიდან გატანილ საქონელს იმაზე დაბალ ფასებში, რაც ამ საქონელზე ქვეყნის შიგნით არსებობს. ამ ფასებს ეწოდება გადასაყრელი ფასები. ხშირად ისინი თვითღირებულებაზე მცირეა. დემპინგი ერთერთი საშუალებაა კაპიტალისტების ბრძოლისა საქონლის გასაღების ბაზრისათვის, გავლენის სფეროებისათვის.

ამჟამად დემპინგს განსაკუთრებით ფართოდ იყენებს ფაშისტური გერმანია. გერმანელი ვაჭრები საგარეო ბაზრებზე თავიანთ საქონელს ჰყიდიან არსებულ მსოფლიო ფასებზე უფრო დაბალ ფასებში და ხშირად თვითღირებულებაზე ნაკლებადაც. იგივე საქონელი თვით გერმანიაში გადიდებულ ფასებში იყიდება. ამგვარად, დემპინგი მთელი თავისი სიმძიმით აწვება მასობრივ გერმანელ მომხმარებელს. გერმანიის საქონლის ცუდი ხარისხი, რაც სუროგატების გამოყენების, შრომის პირობების გაუარესების, კულტურის დაცემის შედეგია, იწვევს იმას, რომ მას გაურბიან უცხოელი მყიდველები. გარდა ამისა, ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში უფრო და უფრო ფართოვდება გერმანული საქონლის ბოიკოტი, როგორც გამოხატულება უცხოელ მყიდველთა პროტესტისა ებრაელების, პოლონელების და სხვა ეროვნებათა პოლიტიკური დევნისა და სასტიკი ჩაგვრის წინააღმდეგ ფაშისტურ გერმანიაში. დემპინგის საშუალებით ფაშისტურ გერმანიას უნდა აღადგინოს თავისი საგარეო ვაჭრობა, რომელიც ეცემა. მაგრამ დემპინგი იწვევს წინააღმდეგობას უცხოელი კონკურენტების მხრივ, რომლებიც იწყებენ გერმანიის მიმართ საბაჟო ღონისძიებათა გამოყენებას, ესე-იგი გერმანიის საქონელს ადებენ სპეციალურ ბაჟს (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები). ამგვარად, დემპინგი აღრმავებს, ამწვავებს კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგობებს.

ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება

ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულებას 1922 წლის 6 თებერვალს ვაშინგტონის კონფერენციაზე ხელი მოაწერეს ცხრა სახელმწიფოს: ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ჰოლანდიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ შეეჩერებინათ იაპონიის წინწაწევა ჩინეთში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს როგორც ხელსაყრელი ბაზარი საქონლის გასაღებისა და კაპიტალის დაბანდებისა. ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულებამ დააწესა სხვადასხვა იმპერიალისტური ქვეყნების მეწარმეთა თანასწორი უფლებანი ჩინეთში, გამოაცხადა „ღია კარების“ პრინციპი. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ჩინეთის პროვინცია შანდუნიდან იაპონიის ჯარების გაყვანის შესახებ.

1931 წელს იაპონელმა ინტერვენტებმა დაიპყრეს მანჯურია და შემდეგ ცენტრალური და ჩრდილოეთი ჩინეთი. ამით ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება ფაქტიურად გაუქმდა. მშვიდობიანობის ომისშემდგომი რეჟიმი, რომლის მთავარ საფუძველს შორეულ აღმოსავლეთში წარმოადგენდა ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, ძირფესვიანად შერყეულია.

კაგულარები

კაგულარები არის საიდუმლო ფაშისტური ორგანიზაცია საფრანგეთში. საიდუმლოების დასაცავად კაგულარები თავიანთ კრებებზე იცვამენ ხალათებს ყაბალახიანი საყელოებით (ფრანგულად — კაგულ), რომლებიც ჰფარავენ სახეს და რომლებსაც აქვთ ნახვრეტები მხოლოდ თვალებისათვის.

1937 წლის სექტემბერში საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა კაგულარების შეთქმულება, რომლებიც ამზადებდნენ ფაშისტურ გადატრიალებას.

საფრანგეთის მსხვილი კაპიტალისტების, გერმანელი და იტალიელი ფაშისტების ფულით კაგულარები ყიდულობდნენ იარაღს და მთელ საფრანგეთში აწყობდნენ იარაღის მრავალ მიწისქვეშა საწყობს. ისინი აშენებდნენ აგრეთვე მიწისქვეშა საპყრობილეებს, სადაც აპირებდნენ სახალხო ფრონტში შემავალი პარტიების თვალსაჩინო მოღვაწეების და პირველ რიგში კომუნისტების მოთავსებას იმ შემთხვევაში, თუ გადატრიალება გაიმარჯვებდა.

კაგულარების შეთქმულებამ ფრანგი ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მთავრობამ კაგულარების მეთაურები ციხეში დაამწყვდია, მაგრამ საფრანგეთის მსხვილი კაპიტალისტების მხარდაჭერის მეოხებით კაგულარების საქმე მიაფუჩეჩეს და ახლა ისინი თითქმის ყველანი თავისუფლად დასეირნობენ. ამავე დროს მრავალი მუშა, რომელიც მონაწილეობას იღებდა გასული წლის 30 ნოემბრის საყოველთაო გაფიცვაში, დღესაც საპყრობილეშია.

კაპიტულაცია, კაპიტულანტები

კაპიტულაცია ნიშნავს გამარჯვებულისათვის დანებებას, მტრისათვის პოზიციების დათმობას, გამცემლობას. კაპიტულანტები არიან პოლიტიკური მოღვაწეები და ჯგუფები, რომლებიც ატარებენ ფაშისტი აგრესორებისათვის პოზიციების დათმობის, აგრესორთან შეთანხმების პოლიტიკას. ასეთი კაპიტულანტები არიან ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული მინისტრები. მათ გამცემლურად ჩაუგდეს ხელში ფაშისტ აგრესორებს აბისინიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის ხალხები და თანდათანობით უკან იხევენ აგრესორთა ბლოკის წინაშე, ღალატობენ თავიანთი საკუთარი ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებს.

კაპიტულანტურ ელემენტებს ეკუთვნიან აგრეთვე II ინტერნაციონალის ხელმძღვანელები, რომლებმაც მრავალჯერ უარჰყვეს კომუნისტური ინტერნაციონალის წინადადება ფაშიზმის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის შესახებ. კაპიტულანტებს ეკუთვნის გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების რეაქციული ხელმძღვანელობა. ეს კაპიტულანტები ფუშავენ მუშათა კლასის გაერთიანებას, აბრკოლებენ სახალხო ფრონტის შექმნას, თიშავენ მუშათა მოძრაობას და ამით დახმარებას უწევენ რეაქციასა და ფაშიზმს. „კაპიტულანტები, — სთქვა პარტიის XVIII ყრილობაზე ამხ. მანუილსკიმ, — არიან შეთანხმებლები არა მარტო ბურჟუაზიასთან, ისინი შეთანხმებლები არიან ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციულ ნაწილთან, შეთანხმებლები არიან ფაშიზმთან. კაპიტულანტები—ეს ფაშისტური აგენტურაა მუშათა მოძრაობაში, აგენტურა, რომელიც გამოდის „პაციფიზმის“ ნიღაბით მასების მოსატყუებლად“.

ნეიტრალიტეტი

ნეიტრალიტეტი არის ჩაურევლობა ორ მხარეს შორის ატეხილ ჩხუბში. საერთაშორისო ურთიერთობაში ნეიტრალიტეტი არის სახელმწიფოს ჩაურევლობა ომში, რომელიც სწარმოებს სხვა სახელმწიფოებს შორის. სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი პოზიცია უკავია, ნეიტრალური ეწოდება. იგი არ უნდა უწევდეს დახმარებას არცერთ მეომარ სახელმწიფოს. თანამედროვე ომებში ნეიტრალიტეტის დაცვა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. ნეიტრალური სახელმწიფოები ხშირად თავიანთი ნებასურვილის წინააღმდეგ ებმებიან ომში. ასე, მაგალითად, 1914-1918 წლების ომში ბელგიას უნდოდა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი და ამგვარად დაეცვა თავი ომისაგან. მაგრამ ეს ნეიტრალიტეტი დაარღვია გერმანიამ, რომლის ჯარებიც შეიჭრნენ ბელგიის ტერიტორიაზე. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი სახელმწიფო ნეიტრალიტეტის, „ჩაურევლობის“ საფარქვეშ ატარებს ფაშისტი აგრესორებისათვის წაყრუების და მათი მხარდაჭერის პოლიტიკას. ყბადაღებული „ჩაურევლობის“ პოლიტიკის საფარქვეშ ეგრეთწოდებულმა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულმა ქვეყნებმა, პირველ რიგში ინგლისმა და საფრანგეთმა, გამცემლურად ჩაუგდეს ხელში გმირული რესპუბლიკური ესპანეთი იტალიელ-გერმანელ ინტერვენტებს. „ჩაურევლობის“ ამ მუხანათური პოლიტიკის გენიალური ანალიზი მოგვცა ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ჩაურევლობის პოლიტიკა ფორმალურად შეიძლებოდა შემდეგნაირად დაგვეხასიათებინა: „დეე თვითეულმა ქვეყანამ დაიცვას თავი აგრესორებისაგან ისე, როგორც მას სურს და როგორც შეუძლია, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ განვაგრძობთ ვაჭრობას აგრესორებთანაც და მათს მსხვერპლებთანაცო“. ნამდვილად კი ჩაურევლობის პოლიტიკა ნიშნავს აგრესიისადმი წაყრუებას, ომის გაღვივებას,—მაშასადამე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას“.

პაციფიზმი

პაციფიზმი ბურჟუაზიული მიმდინარეობაა, რომელიც გამოდის ცრუ ვარაუდიდან, თითქოს კაპიტალიზმის პირობებში შეიძლებოდეს საერთაშორისო კონფლიქტების (შეტაკებების) მშვიდობიანი გადაჭრა. სინამდვილეში მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობას შეუძლია მოუღოს ბოლო ხალხთა შორის სამხედრო შეტაკებებს. წინააღმდეგნი არიან რა ყოველგვარი ომისა საზოგადოდ, პაციფისტები უარჰყოფენ სამოქალაქო და ნაციონალურ - განმათავისუფლებელ ომსაც. ამით ისინი ეხმარებიან ბურჟუაზიას თავისი ბატონობის შენარჩუნებაში და არა თუ ხელს არ უწყობენ მშვიდობიანობის შენარჩუნებას, არამედ, პირიქით, ხელფეხს უხსნიან იმპერიალისტურ მტაცებლებს. „პაციფიზმის“ დროშით მოქმედებენ ფაშისტი აგენტები მუშათა მოძრაობაში, მატყუარები და კაპიტულანტები. პაციფიზმის იმავე ნიღაბით ბურჟუაზიული „მშვიდობისმყოფელნი“, როგორც, მაგალითად, ჩემბერლენი და დალადიე, ეხმარებიან ფაშიზმს მისი ყაჩაღური გეგმების განხორციელებაში.

„პაციფიზმი და განიარაღების პროექტები, — ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე,—დასამარებული აღმოჩნდა. მათი ადგილი შეიარაღების ციებ-ცხელებამ დაიკავა“.

გავლენის სფერო

გავლენის სფერო არის ერთერთი ფორმა იმპერიალისტების ბატონობისა ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში. გავლენის სფერო — ოლქი რომელიმე ქვეყანაში (მაგალითად ჩინეთში) ან მსოფლიოს გარკვეული ნაწილის რაიონებში (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში), ზღვის ნაწილი (მაგალითად ხმელთაშუა ზღვის), რომელიც იმყოფება ერთერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს ფაქტიური კონტროლის ქვეშ. იმპერიალისტური სახელმწიფოები ურთიერთშორის ინაწილებენ გავლენის სფეროებს. მაგალითად, ჩინეთი გავლენის სფეროებად განაწილებული იყო შემდეგნაირად: სამხრეთ ჩინეთი (კანტონის რაიონი) იყო ინგლისის გავლენის სფერო; გუანდუნის და გუანსის სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები — საფრანგეთისა; მანჯურია და ლაოდუნი — მეფის რუსეთისა; კორეა და მანჯურია — იაპონიისა. ცენტრალური ჩინეთი, რომელიც შედიოდა ინგლისის გავლენის სფეროში, იყო იაპონიას, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გამძაფრებული ბრძოლის საგანი. ინგლისსა და იტალიას შორის ამჟამად არსებობს ხელშეკრულება გავლენის სფეროების განაწილების შესახებ არაბეთში (მეწამული ზღვის ნაპირი).

იმპერიალისტების ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს იღებს. ფაშისტი აგრესორები აჩაღებენ ახალ მსოფლიო ომს მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის.

„ახლა ლაპარაკია საომარ მოქმედებათა გზით მსოფლიოს, გავლენათა სფეროების, კოლონიების ახალ გადანაწილებაზე“ **(სტალინი).**

გავლენის სფერო სუსტ ხალხთა დამონების ერთერთი საშუალებაა, ამიტომ საბჭოთა კავშირი გავლენათა სფეროების მოწინააღმდეგეა.

ტოტალური ომი

წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან ტოტალ — სრული, მთლიანად. ტოტალური ომი — ომის ფაშისტური თეორიაა. ამ თეორიის მიხედვით ომში მონაწილეობას უნდა იღებდეს ომში ჩაბმული ქვეყნების უკლებლივ ყველა საშუალებები — როგორც ადამიანთა, ისე მატერიალური. ზურგსა და ფრონტს შორის ზღვარი არ არის. ტოტალური ომის ერთერთ პირობად ფაშისტები სთვლიან თავიანთი ქვეყნების მშრომელთა სრულ ჩახშობას და მათ გადაქცევას საზარბაზნე ხორცად. ტოტალური ომის წესებში შედის მოწინააღმდეგის ზურგის, მისი არა მარტო არმიის, არამედ აგრეთვე მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობა. ამ „წესებს“ ფაშისტი ავაზაკები, როგორც ცნობილია, უკვე იყენებენ პრაქტიკულად აბისინიაში, ესპანეთში და ჩინეთში.

ეტალონი

ეტალონი ძირითადი მნიშვნელობით არის ნიმუში საზომი ერთეულისა, რომელიც მიღებულია კანონით ან დაწესებულია მეცნიერების მიერ. მაგალითად, 1799 წელს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ პლატინისაგან დაამზადა მეტრის ეტალონი. ეს ეტალონი დღემდე წარმოადგენს ნიმუშს ყველა ქვეყნისათვის, რომელიც იყენებს მეტრულ სისტემას.

ამხ. ჟდანოვი მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ლაპარაკობდა ადამიანებზე, რომლებიც „ადამიანს აფასებენ როგორც ერთხელ ჩამოყალიბებულ, უძრავ მკვდარ სქემას.

ეს ადამიანები გახლავთ იმ „ეტალონების“ და სქემების გამომგონებელნი, რომელთაც შემდეგ ცალკეულ ადამიანებს ატოლებენ, რათა განსაჯონ კარგია იგი თუ ცუდი, თავსდება სქემაში თუ არა“.

აქ სიტყვა „ეტალონი“ ნიშნავს ადამიანებისათვის ხელოვნურად გამოგონებულ „საზომს“.

„სპუტნიკ აგიტატორა“ № 8.

პოლონეთის საგარეო პოლიტიკა

ბეკის სიტყვა

ვარშავა, 5 მაისი (საკდესი). დღეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი პოლონეთის სეიმის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა დეკლარაციით საგარეო პოლიტიკის შესახებ. აღნიშნა რა უკანასკნელ ხანს კოლექტიური უშიშროების საერთაშორისო ორგანოთა შესუსტება და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მეთოდების შეცვლა, ბეკმა განაცხადა, ამან დიდძალი ახალი პრობლემა წარმოშვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რაც შეეხება პოლონეთს, აქ მეტად სერიოზული ამბები მოხდა: გაძლიერდა კონტაქტი ცალკეულ სახელმწიფოებთან და გაჩნდა სერიოზული სიძნელეები ზოგ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. შეეხო რა ინგლისთან დადებულ შეთანხმებას, ბეკმა განაცხადა: „შეთანხმებას საფუძვლად უდევს პრინციპი ურთიერთდახმარებისა იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირ ან არაპირდაპირ საშიშროებაში ჩავარდება ერთერთი ქვეყნის დამოუკიდებლობა. საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელთა დეკლარაციები ცხადჰყოფენ, რომ პარიზი და ვარშავა ერთსულოვანნი არიან იმაში, რაც პოლონეთ-საფრანგეთის თავდაცვითი კავშირის ეფექტურობას შეეხება, და იმაში, რომ საერთაშორისო კონიუნქტურას არ შეუძლია შეასუსტოს ეს კავშირი.

„ჰიტლერმა, — განაგრძობდა ბეკი, — პოლონეთ-ინგლისის შეთანხმება საბაბად გამოიყენა იმისათვის, რომ ცალმხრივად გაეუქმებინა შეთანხმება, რომელსაც გერმანიის სახელით პირადად მან მოაწერა ხელი 1934 წელს.

გერმანიის მთავრობამ, როგორც ეს გერმანიის მემორანდუმის ტექსტიდან გამომდინარეობს, თავისი გადაწყვეტილება მიიღო პრესის ინფორმაციაზე დამყარებით; მას არ განუხილავს არც ინგლისისა და არც პოლონეთის მთავრობის აზრი დადებული ხელშეკრულების ხასიათის შესახებ. ეს კი სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ლონდონიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ მე განვაცხადე, რომ თანახმა ვარ მივიღო გერმანიის ელჩი, მაგრამ ამ უკანასკნელს დღემდეც კი არ უფიქრია ესარგებლნა ამ შესაძლებლობით“. განაცხადა რა შემდეგ, რომ პოლონეთი უარჰყოფს გერმანიის ცდას განმარტოს 1934 წლის დეკლარაცია როგორც ისეთი, რომელიც პოლონეთს უსპობს შესაძლებლობას მხარი დაუჭიროს მეგობრულ თანამშრომლობას დასავლეთ სახელმწიფოებთან, ბეკი გადავიდა დანციგისა და პოლონეთის კორიდორის საკითხზე.

„თავისუფალი ქალაქი დანციგი, — განაცხადა ბეკმა, — ვერსალის ხელშეკრულებით როდი იყო გამოგონილი. იგი უკვე საუკუნეების განმავლობაში არსებობს. ამ ქალაქის არა მარტო განვითარება, არამედ არსებობაც კი იმ ფაქტიდან გამომდინარეობდა, რომ იგი პოლონეთის ერთადერთი დიდი მდინარის შესართავთან მდებარეობს. ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში. ამჟამად ამ სამდინარო გზითა და რკინიგზით ხორციელდება პოლონეთის კავშირი ბალტიის ზღვასთან. ეს არის ისეთი ჭეშმარიტება, რომლის მიჩქმალვაც არავითარ ახალ ფორმულას არ შეუძლია. დანციგის მოსახლეობის დიდ უმეტესობას ამჟამად გერმანელები შეადგენენ, მაგრამ მისი არსებობა და კეთილდღეობა დამოკიდებულია პოლონეთის ეკონომიურ პოტენციალზე. ჩვენ გადაჭრით ვიცავდით და ვიცავთ ჩვენი საზღვაო ვაჭრობისა და ჩვენი საზღვაო პოლიტიკის უფლებებსა და ინტერესებს დანციგში.

გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეთა არაერთგზის განცხადების შემდეგ, რომ „ეს პროვინციული ქალაქი არ გახდება პოლონეთსა და გერმანიას შორის დავის ობიექტად“, ამჟამად მოითხოვენ, რათა დანციგი გერმანიას შეუერთდეს. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთი მოსწყვიტონ ბალტიის ზღვას. მაგრამ პოლონეთი არ მისცემს იმის ნებას, რომ მოსწყვიტონ იგი ბალტიის ზღვას. იგივე მოსაზრება შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ საკითხისთვისაც, რომელიც შეეხება მიმოსვლას ჩვენს ზღვისპირა სავოევოდოზე გავლით. მე ხაზგასმით აღვნიშნავ ამ სიტყვებს: „ზღვისპირა სავოევოდო“. რადგან ტერმინი „კორიდორი“ ხელოვნურად არის გამოგონილი, რამდენადაც ლაპარაკია ძველადგანვე პოლონეთის კუთვნილ პროვინციაზე, სადაც გერმანელი კოლონისტების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი ცხოვრობს.

ჩვენ გერმანიის იმპერიას მივანიჭეთ ყოველგვარი შეღავათი სარკინიგზო მიმოსვლის საკითხში; ჩვენ ნება დავრთეთ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს გადავიდნენ გერმანიიდან აღმოსავლეთ პრუსიაში საბაჟო და საპასპორტო ფორმალობათა გაუვლელად. ჩვენ წინადადება მივეცით განეხილათ ანალოგიური შეღავათები საავტომობილო მიმოსვლისათვის, მაგრამ ჩვენ არავითარი საბაბი არა გვაქვს შევზღუდოთ ჩვენი სუვერენიტეტი ჩვენსავე საკუთარ ტერიტორიაზე. პირველ და მეორე საკითხში, ე. ი. დანციგის მომავალსა და ზღვისპირზე გავლით მიმოსვლაში, საქმე მუდამ ეხება იმ ცალმხრივ დათმობათ, რომელთაც ჩვენგან გერმანია მოითხოვს.

თავის სიტყვაში ჰიტლერი დათმობის სახით თავის მხრივ სიტყვას იძლევა, რომ იგი სცნობს და საბოლოოდ მიიღებს პოლონეთსა და გერმანიას შორის არსებულ საზღვარს. მე უნდა აღვნიშნო, რომ ასეთ შემთხვევაში ლაპარაკი იქნებოდა ჩვენი უფლების აღიარების შესახებ დე-იურე და დე-ფაქტო იმაზე, რაც ჩვენს უდავო საკუთრებას წარმოადგენს“.

შეეხო რა გერმანიის წინადადებას — დაწყებულ იქნას მოლაპარაკება ახალი შეთანხმების დადების შესახებ, ბეკმა განაცხადა: „პოლონეთის მთავრობა მზად არის შეუდგეს ასეთ მოლაპარაკებას“.

დასასრულ ბეკმა აღნიშნა, რომ პოლონეთი არ ეცდება მიაღწიოს მშვიდობიანობას „ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით“.

გამოხმაურება ბეკის სიტყვაზე

პოლონეთი

პოლონეთის გაზეთები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ დადებითი ხასიათის გამოხმაურებას ინგლისში, ამერიკასა და საფრანგეთში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის სიტყვაზე და პოლონეთის მთავრობის მემორანდუმზე. ამავე დროს პოლონეთის გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ბეკის სიტყვამ „ცუდად დაფარული გაღიზიანება და დაბნეულობაც კი“ გამოიწვია ბერლინში.

პოლონეთის მთელი პრესა სავსებით უჭერს მხარს ბეკის მიერ დაკავებულ პოზიციას.

ინგლისი

ინგლისის გაზეთები უყოყმანოდ უჭერენ მხარს ბეკის გამოსვლას და კმაყოფილებით აღნიშნავენ მის მიერ გამოჩენილ სიმტკიცეს.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში გერმანია - პოლონეთის კრიზისის გამწვავებას მოელიან.

საფრანგეთი

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ „საფრანგეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ ბეკის სიტყვის გარკვეულობას და მის ზრუნვას შეინარჩუნოს იმის შესაძლებლობა, რომ მოლაპარაკების საშუალებით მიაღწიოს შეთანხმებას. აღნიშნავენ, რომ პოლონეთის პოზიცია სავსებით შეესაბამება საფრანგეთის თვალსაზრისს“.

გერმანია

გერმანიის გაზეთები სწერენ, რომ გერმანიის მოთხოვნათა დაკმაყოფილება „პოლონეთ-გერმანიის დამოკიდებულობის მოწესრიგების საუკეთესო საშუალება“ იქნება თვით პოლონეთისათვის. გაზეთები აცხადებენ, რომ გერმანია-პოლონეთის მოლაპარაკების განახლების ინიციატივა პოლონეთისგან უნდა გამომდინარეობდეს. (საკდესი).

პოლონეთის მთავრობის პასუხი გერმანიის მემორანდუმზე

ვარშავა, 6 მაისი (საკდესი). გუშინ საღამოს უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს ვარშავაში გადაეცა ტექსტი პოლონეთის მთავრობის პასუხისა გერმანიის ა. წ. 28 აპრილის მემორანდუმზე. უარჰყოფს რა გერმანიის მემურანდუმს, პოლონეთის მთავრობა თავის პასუხში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოთხოვნების ცალმხრივად წამოყენება არ შეესაბამება პოლონეთ - გერმანიის 1934 წლის დეკლარაციას და არ შეიძლება შეთანხმებულ იქნას პოლონეთის სახელმწიფოს საარსებო ინტერესებთან და ღირსებასთან.

დასასრულ, პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ, თუმცა იგი არ იზიარებს გერმანიის მთავრობის შეხედულებებს, თითქოს 1934 წლის ხელშეკრულება პოლონეთმა დაარღვია, მაგრამ იგი მაინც მზად არის მოაგვაროს წამოჭრილი საკითხები კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძვლებზე და თავისი იმ პრინციპული შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებსაც ეს მემორანდუმი შეიცავს.

ინგლისმა იცნო სლოვაკია

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იცნოს სლოვაკია დე-ფაქტო.

იტალია-რუმინეთის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

რომი, 5 აპრილი (საკდესი). იტალიის გაზეთებში ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ „დამთავრდა მოლაპარაკება რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გაფენკუსთან და რომ ამ მოლაპარაკების შედეგები ორივე მხარეს აკმაყოფილებს“.

ამასთან დაკავშირებით „ჯორნალე დ'იტალია“ იმედს გამოსთქვამს, რომ უნგრეთ-რუმინეთის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე არსებული სიძნელეები გადალახული იქნება.

თბილისი. 6 მაისს თბილისის იპოდრომზე გაიხსნა დოღის საგაზაფხულო სეზონი. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ორწლიანების დოღის ფინიშზე, დოღის მონაწილეთა პარადი, პრიზის ჩაბარება „საგაზაფხულო სეზონის გახსნის“ სახელობის დოღზე გამარჯვებულ ამხ. ა. ბარკოვსკისათვის (მარცხნივ).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ხალხური შემოქმედების საერთაშორისო გამოფენა

უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოებამ ცნობა მიიღო ლივერპულში (ინგლისი) ხალხური შემოქმედების საერთაშორისო გამოფენის გახსნის შესახებ. გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნებას. აქ ექსპონირებულია ხალიჩები, საფეიქრო ნაწარმი, ძვალზე, ხეზე და ქვაზე ნაკეთობები ჩუქურთმეში, აპლიკაციები, პალეხის მხატვართა და დაღისტნის შინამრეწველთა ნაწარმოებნი. გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ზაგორსკის ფაბრიკის მიერ დამზადებული საბავშვო სათამაშოები. (საკდესი).

სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებნი სსრ კავშირის ხალხთა 24 ენაზე

სრულიად-საკავშირო წიგნის პალატას საინტერესო მასალები მოეპოვება რუსეთის დიდი მწერალ-სატირიკოსის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის თხზულებათა გამოცემის შესახებ, სალტიკოვ-შჩედრინისა, რომლის გარდაცვალების 50 წლისთავი 10 მაისს სრულდება.

1897 წლიდან 1916 წლამდე რევოლუციამდელ რუსეთში გამოშვებული იყო შჩედრინის სულ მხოლოდ 39 ცალკეული ნაწარმოები 65 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. ყველა გამოცემა მხოლოდ რუსულ ენაზე გამოდიოდა. 1918-დან 1938 წლამდე — საბჭოთა გამომცემლობებმა გამოუშვეს სალტიკოვ-შჩედრინის 186 თხზულება სსრ კავშირის ხალხთა 24 ენაზე. შჩედრინის ყველა გამოცემის ტირაჟმა თითქმის 6 მილიონ ცალს მიაღწია. დიდი სატირიკოსის ნაწარმოებნი გადათარგმნილი და გამოცემულია აზერბაიჯანულ, სომხურ, ასირიულ, ბაშკირულ, ბერძნულ, ქართულ, ებრაულ, ყარაკალპაკურ, ფინურ და სხვა ენებზე. (საკდესი).

ანტიმალარიული კონფერენცია ლაგოდეხში

(ლაგოდეხი, საქ კორესპონდენტისაგან)

ამასწინათ ლაგოდეხში ჩატარდა ანტიმალარიული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ექიმები, ექიმის თანაშემწეები, ბონიფიკატორები და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები. კონფერენციამ განიხილა ტროპიკული სადგურის გამგის ა. გივიშვილის მოხსენება სადგურის მუშაობის შესახებ.

— — —

გამოირკვა, რომ რაიონში მალარიასთან ბრძოლის გაუმჯობესების გამო საგრძნობლად შემცირდა მალარიით დაავადება. ბონიფიკატორები, ექიმები და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდნენ მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ სოფელში სათანადოდ არ იბრძოდნენ მალარიის წინააღმდეგ. მაგალითად, სოფ. ბაისუბანში, პატარა გორში ფონაში და სხვ. კოლმეურნეობებს ბონიფიკატორებიც კი არ ჰყავთ გამოყოფილი და ანტიმალარიული მუშაობა სრულიად არ სწარმოებს. კონფერენციაზე სიტყვით გამოსული ამხანაგები აკრიტიკებდნენ ტროპიკული სადგურის გამგის ა. გივიშვილის სუსტ მუშაობას, იგი ბონიფიკატორებს ნაკლებ დახმარებას უწევდა, არ ამარაგებდა მათ სპეცტანსაცმლით; არხები არ იწმინდება, გამაზუთიანებას უყურადღებოდ ექცევიან და სხვ.

გააკრიტიკეს აგრეთვე წყალთა სამმართველოს და საგზაო მშენებლობის ხელმძღვანელები, რომლებიც ცუდად ასრულებენ მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებებს, დაკისრებულს მათზე.

დ. ბატიაშვილი.

გაიხსნა დოღის სეზონი

6 მაისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიხსნა დოღის საგაზაფხულო სეზონი.

დოღი დაიწყო ჯიშიანი მოზარდეულის პარადით, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს ყულარის, მუხროვანისა და აზერბაიჯანის ცხენსაშენების 30 საუკეთესო ორწლიანებმა.

„სეზონის გახსნის პრიზი“ 1000 მანეთის რაოდენობით, რომელიც დანიშნული იყო წმინდა სისხლის სამწლიანებისათვის 2000 მეტრის დისტანციის გარბენაზე, აიღო მუხროვანის ცხენსაშენის ულაყმა „ტარიელმა“ (2 წუთი და 38 წამი); მეორე მივიდა „ხიზანი“ — იმავე ცხენსაშენისა, ხოლო მესამე—ყულარის ცხენსაშენის „ენგური“.

საუცხოო ამინდმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა იპოდრომზე. (საქდესი).

ფეხბურთი

ორი მატჩი როსტოვის ფეხბურთელებთან

5 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა ბათუმისა და როსტოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. მატჩი როსტოვის „დინამოელებმა“ მოიგეს ანგარიშით 1:0.

6 მაისს იმავე სტადიონზე გაიმართა თბილისისა და როსტოვის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი. ორთავე გუნდი ძირითადი შემადგენლობით თამაშობდა. თამაში მეტად საინტერესო გამოდგა. თბილისელების უპირატესობა პირველ წუთებშივე გამომჟღავნდა. მე-5 წუთზე ჯორჯიკიამ მოხდენილად გაარღვია როსტოველების მცველთა ხაზი და ბურთი სტუმრების კარში მოაქცია.

შუა თამაშში პაიჭაძემ თითქმის ცენტრიდან გაიტაცა ბურთი. შემოუარა ყველა მცველს, და სტუმრების კარში მეორე ბურთი მოაქცია.

თბილისელების უპირატესობით დაიწყო თამაშის მეორე განყოფილებაც.

თამაშის დასასრულ უხეში თამაშისათვის თბილისელები „პენალტით“ დაჯარიმდნენ, რაც როსტოველებმა კარგად გამოიყენეს.

შეჯიბრება დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

O

დღეს საღამოს 6 საათზე ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება თბილისის „ლოკომოტივისა“ და როსტოვის „დინამოს“ უკანასკნელი ამხანაგური საქალაქთაშორისო მატჩი.

12 მაისს დაიწყება შეჯიბრება სსრკ პირველობაზე.

თ. ფურცელაძე.

მზადება ნიზამის დაბადების 800 წლისთავისათვის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალი წელს აწყობს ქალაქ განჯის გათხრებს. ამ ქალაქში ცხოვრობდა და გარდაიცვალა დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი. გათხრებმა უნდა მოგვცეს ძვირფასი ექსპონატები იმ დიდი გამოფენის მოსაწყობად, რომელიც მზადდება 1941 წლისათვის, როდესაც სრულდება 800 წელი პოეტის დაბადებიდან.

აკადემიის ფილიალი ნიზამის ნაწარმოებთ სთარგმნის ფარსული ენიდან აზერბაიჯანულზე. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი პოეტის ძირითად ნაწარმოებთ სთარგმნის რუსულ ენაზე. ახალგაზრდა კომპოზიტორი, ორდენოსანი ნიაზი სწერს ოპერას „ნიზამი“. მეცნიერებათა აკადემიის წევრი - კორესპონდენტი პროფესორი ბერტელსი იუბილესათვის ამზადებს ვრცელ მონოგრაფიას დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (საკდესი).

ნაციონალურ მწერალთა კურსკონფერენციების დახურვა

5 მაისს მუშაობა დაამთავრა 32 ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ახალგაზრდა მწერალთა კურს-კონფერენციამ. მოსკოვში სამი კვირის ყოფნის დროს კურსანტებმა მოისმინეს სერია საუბრებისა ნოველის, მიმოხილვის, დრამატურგიის, კრიტიკის, პოეზიის, ფელეტონისა და ფოლკლორის შესახებ. ამ საუბრებს ატარებდნენ ამხ. ანტოკოლსკი, ლეონოვი, ფედინი, გუსევი, ნოვიკოვ-პრიბოი, ჩუკოვსკი, მარშაკი, შკლოვსკი, რიკლინი და სხვ.

ახალგაზრდა მწერლებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი, ტრეტიაკოვის გალერია, ისტორიული, პოლიტექნიკური, დასავლეთის ახალი ფერწერის მუზეუმი. დაესწრნენ ფილმ „მინინისა და პოჟარსკის“ გადაღებას, არქიტექტორთა ხელმძღვანელობით გაეცნენ დედაქალაქის რეკონსტრუქციას და ისეირნეს მოსკოვ-ვოლგის არხით.

დედაქალაქის უდიდეს თეატრებში — მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში, დიდ თეატრში, მცირე თეატრში, ვახტანგოვის სახელობის თეატრში — სპექტაკლების შემდეგ გაიმართა ახალგაზრდა მწერლების საუბარი უდიდეს აქტიორებთან, რეჟისორებთან და კრიტიკოსებთან ი. მ. მოსკვინთან, მ. მ. თარხანოვთან, ვ. ი. სტანიცინთან, ც. ლ. მანსუროვასთან, დ. ო. ზასლავსკისთან, პ. ა. მარკოვთან და სხვ. კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო. (საკდესი).

ცილისმწამებელ პროვოკატორის ზემცევის საქმე

მინსკი, (საკდესი). 24-დან 26 აპრილამდე ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლო იხილავდა ცილისმწამებელ-პროვოკატორის დ. ი. ზემცევის საქმეს. საქმის გამო ჩვენება მისცა 20-ზე მეტმა მოწმემ.

1937 წლის დამლევს ბელინიჩის რაიონში ზემცევი კონტრრევოლუციური მიზნით მოქმედებდა ცილისწამებითა და პროვოკაციის მეთოდებით. რაიონულ პარტიულ კრებაზე მუქარით მიაღწია იმას, რომ კრებამ პოლიტიკური უნდობლობა გამოუცხადა რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობას. ზემცევს დემორალიზაცია შეჰქონდა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში, ურთიერთუნდობლობას სთესავდა კომუნისტებს შორის; მან 6 კაცი გაარიცხვინა პარტიიდან და 5 კაცი დააპატიმრებინა. იგი თვითნებურად ართმევდა პარტიულ ბილეთებს, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ფუნქციებს ითვისებდა რაიონში, ერეოდა რაიაღმასკომის ადმინისტრატიულ ფუნქციებში. თავის „მოღვაწეობაში“ ზემცევი კლასობრივად მტრულ ელემენტებს ეყრდნობოდა. რაიონში ჩასვლისას იგი წინასწარ ადგენდა „შავ სიას“, სადაც შეჰქონდა ყველა კომუნისტი, რომელიც მისი აზრით, პარტიიდან გასარიცხი იყო.

რუდინოს რაიონში ზემცევმა ასეთივე მეთოდებით მიაღწია ბელორუსიის კ. პ. (ბ) რაიკომის დაშლას, რაიკომის მდივნებისა და 17 კომუნისტის გარიცხვას პარტიიდან. პატიოსან კომუნისტებს ზემცევი ხალხის მტრებად, ჯაშუშებად აცხადებდა და აპატიმრებინებდა. შემდეგში ზემცევის მიერ პარტიიდან გარიცხული ყველა კომუნისტი გაამართლეს და პარტიის რიგებში აღადგინეს.

სასამართლომ ცილისმწამებელ-პროვოკატორ ზემცევს მიუსაჯა 10 წლის პატიმრობა სსრ კავშირის შორეულ ადგილებში, მისი პირადი ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ უფლებების აყრა 5 წლის ვადით.

პროფ. ვ. ანდღულაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მიმდინარე წლის 28 აპრილს [illegible]პანსერის აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა პროფ. ვ. ანდღულაძემ დაიცვა დისერტაცია, რის შედეგად მას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ოფიციალურ ოპონენტებად იყვნენ პროფესორები ვ. ვარაზი, ვ. ვორონინი და მ. წინამძღვრიშვილი. მათ ერთხმად აღნიშნეს ის დიდი დამსახურება, რომელიც პროფ. ვ. ანდღულაძეს მიუძღვის კაცობრიობის საშინელი მტრის — ჰიპერტონიის გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების გამოვლინებაში.

ამხ. ვ. ანდღულაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მოკლე დროის განმავლობაში მან გამოაქვეყნა 26 შრომა.

ექ. ლ. გასვიანი.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთორმეტე ტური

მეთორმეტე ტურში, რომელიც 4 მაისს შესდგა, გროსმეისტერმა ბოტვინიკმა საუკეთესოდ ისარგებლა ჩისტიაკოვის სუსტი თამაშით, მოხდენილი სვლებით მიაღწია დიდ უპირატესობას ლაზიერის ფრთაზე, მოიგო ხარისხი და მალე პარტიაც. ბელავენეც—მაკაგონოვის და რაბინოვიჩ—კოტოვის პარტია ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრება

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რაც 5 მაისს შესდგა, გროსმეისტერმა ბოტვინიკმა ვერ გამოიყენა რაგოზინთან მოგების შესაძლებლობანი და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე რომანოვსკი—კოტოვის, იუდოვიჩ-რომანოვსკის და ტოლუშ—პანოვის პარტიები. ლევენფიშმა მოუგო რაბინოვიჩს, წააგო ბელავენეცთან და იუდოვიჩთან. ეს უკანასკნელი დამარცხდა ტოლუშთან. რაგოზინმა მოიგო ლისიცინთან და წააგო რაბინოვიჩთან, მაკაგონოვმა წააგო კოტოვთან, რომანოვსკიმ ჩეხოვერთან, პოგრებისკიმ დუბინინთან და რაბინოვიჩმა პოგრებისკისთან. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

მეცამეტე ტური

მეცამეტე ტურში გროსმეისტერმა ბოტვინიკმა საუკეთესოდ გამოიყენა უკრაინელ მაესტრო პოგრებისკის პასიური თამაში და მორიგ გამარჯვებას მიაღწია. კოტოვ—ბონდარევსკის და მაკაგონოვ—რაგოზინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ცამეტი ტურის შემდეგ წინ არიან ბოტვინიკი + 10, კოტოვი+9 (1 გად.), ბელავენეცი + 7½ (1 გად.). ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მაესტრო კოტოვის (მოსკოვი) თვალსაჩინო წარმატება. ამჟამად იგი ბოტვინიკთან ერთად პირველობის ერთერთი მთავარი კანდიდატია. გათამაშებულ თორმეტ პარტიაში მან მხოლოდ ერთი წააგო, ოთხი ყაიმით დაასრულა და შვიდი მოიგო.

რადიო დღეს

11 ს.—„თბილისის ახალი ამბები“ ქართულ და რუსულ ენებზე, 12 ს. 15 წ. — „უკანასკნელ ცნობათა“ დღის გამოშვება ქართულ ენაზე, 17 ს. 35 წ. — ინფორმაციები. 18 ს. 10 წ. — „უკანასკნელ ცნობათა“ საღამოს გამოშვება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, 20 ს. 00 წ.—ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე: მონტაჟი მაქსიმ გორკის მოთხრობის „26 და ერთის“, მიხედვით, 20 ს. 45 წ. — კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“ (ტონფილმი), 23 ს. 40 წ. — „უკანასკნელ ცნობათა“ ღამის გამოშვება ქართულ ენაზე. 00 ს. 30 წ. — „უკანასკნელ ცნობათა“ ღამის გამოშვება —ტრანსლაცია მოსკოვიდან.

პარტკაბინეტებში

8 მაისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი **ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში** აწყობს ამხ. ქორიძის ლექციას თემაზე: მრეწველობის სოციალისტური განლაგება მესამე ხუთწლედში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ლიუდვიგოვის ლექციას თემაზე: ვ. ი. ლენინის წიგნი — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ყიფშიძის ლექციას თემაზე: მესამე ხუთწლედი საბჭოთა ხალხის შემდგომი მატერიალური და კულტურული მდგომარეობის აღმავლობის ხუთწლედია. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

8, 9 და 10 მაისს
ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურის და დასვენების ცენტრალური პარკი (ყოფ. მუშტაიდი)
8, 9 და 10 მაისს
მოსკოვის პლასტიკური ბალეტის სახელმწ. თეატრის მასტროლები
პარკში ყოველდღიურად: საცირკო ატრაქციონი, საზაფხულო კინოთეატრი, სასულე ორკესტრი, საცეკვაო მოედანი, ჯაზ-ორკესტრი, კაფე, პირველხარისხოვანი რესტორანი, საბავშვო რკინიგზა, კარუსელი და სხვ.
149

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

8/V წარმოდგენა 181	9/V წარმოდგენა 182	10/V წარმოდგენა 183
მთაგრეხილზე	არსენა	შემოდგომის აზნაურები

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრს
ესაჭიროება სცენის თანამშრომლები
(მამაკაცები)
მიმართეთ ყოველდღე დილის 10 საათიდან 11 საათამდე ამხ. მძინარიშვილს.
200

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

8/V	დები ქერარ
9/V	მათი ამბავი

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.

1-ლი სამკერვალო ფაბრიკის მე-6 საამქროს
ესაჭიროება
მკერავები — როგორც ქალები, ისე მამაკაცები.
ამავე სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნან დიასახლისებიც
მიმართეთ—ბამბის რიგი № 2.
579 2—1

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

8/V	9/V	10/V
მუდმ. ადგ. ტალ. № 162	მუდმ. ადგ. ტალ. № 163	მუდმ. ადგ. ტალ. № 164 აბ. სერ. № 3
დაისი	აიდა	პიკის ქალი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა).
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 ს. საღ. 6—9 ს. გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი, ბინა № 57.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
თეატრის დირექცია ამით აცხადებს, რომ
1938-39 წ. წ. სეზონი
გაგრძელებულია 1 ივლისამდე
დამატებით ნაჩვენები იქნება პრემიერები.
იმ საწარმო-დაწესებულებებს, რომელთაც ჰქონდათ შეძენილი მიმდინარე სეზონის მუდმივი ადგილები, ეძლევათ პროლონგაციის უფლება. აგრეთვე მიიღება ახალი დაკვეთები.
პირობების გაგება და ხელშეკრულების გაფორმება სწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში დილის 10 საათიდან 4 საათამდე.
ტელეფ. № 3-43-07, 3-32-04.
300

საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ა. წ. 7-დან 17 მაისამდე ინსტიტუტის შენობაში (ლენინის ქ., № 50) ატარებს ქალაქ თბილისში მომუშავე ექიმ-პედიატრებისათვის დეკადას, რომელზეც ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელნი
წაიკითხავენ ლექციებს—ზაფხულობით ბავშვთა კუჭის აშლილობასთან ბრძოლის საკითხებზე.
ლექციების წაკითხვა—საღამოს 8 საათიდან.
1668
დირექცია.

თანახმად სარეწაო სატყეო კოოპ. არტელ „ავეჯმრეწვის“ წევრთა საერთო კრების დადგენილებისა (ოქმი № 8 ა. წ. 27 აპრილი), ხდება არტელ
„ავეჯმრეწვის“ ლიკვიდაცია
ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა. წ. 15 მაისამდე.
ლიკვიდკომი იმყოფება: საბურთალოს ბაზარი, დარაბა 90.
1670
ლიკვიდკომი.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატის თანამშრომლები იუწყებიან განსახკომის ფიზ. აღზრდის ინსპექციის უფროსის ამხ. გ. ნ. მერკვილაძის მეუღლის
ეკატერინე ლევანის-ასულ საყვარელიძე-მერკვილაძის
გარდაცვალებას. 1704

დედა ანა, შვილები შალიკო, მარგალიტა, აგრაფინა; რძალი მარო დეკანოიძეები, შვილიშვილები, ძმა დათა ბითაძე იუწყებიან, რომ 9/V, ქ. ხაშურში დანიშნულია
მაშო ესტატეს-ასულ დეკანოიძის
პანაშვიდი. 1703

მეუღლე ცაბუ, შვილი დათიკო ცოლშვილით, ცუცუნა, სიმონიკა ცოლშვილით საყვარელიძეები იუწყებიან ძვირფას
ივანე დავითის-ძე საყვარელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 მაისს ს. საქარაში (ზესტაფონის რაიონი). 1707

დამწუხრებული პაშა ქმრით აკაკით, შვილებით ნინო ქმარშვილით, თამარ, ჯოდო, ლიმო მხეიძეები იუწყებიან საყვარელი სიძის და ბიძის
ივანე საყვარელიძის
გარდაცვალებას. 1696

დამწუხრებული დედა მატრონა, დები მარო კემულარია, ქეთო, ნინო იამანიძეები, სიძე ჯუკუ ხურცილავა შვილებით იუწყებიან აგრონომ
თამარ ილარიონის-ასულ იამანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V, 6 ს. ქუთაისში აგურის, 21 1697

მიხეილ, თინა, გოგი ნანეიშვილები, თამარ, გოჩი, მერაბ მაჭავარიანები მწუხარებით იუწყებიან ძმის, ბიძის და ბაბუას ექიმ
რაჟდენ ივანეს-ძე ნანეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სამტრედიაში. 1698

მარგო ჯობინაშვილი, ოლია ჯიხორიძე, ლუბა ჭელიძე, შალვა მესხი და ლევან გაჩეჩილაძე იუწყებიან თინა ხეთაგურის დეიდაშვილის
ლოლია ბაბაჯანოვას
გარდაცვალებას. 1705

დამწუხრებული მშობლები სანდრო და ნენე, ძმები ვანო, შოთა, დები ნადია, თამარ იუწყებიან საყვარელი
ნუნუ მახარაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/V, 8 ს. მატერიალური, 7. დაკრძალვა 9/V, 5 ს. 1702

მეუღლე ოლღა, შვილები ვასო, მაქსიმე, რძალი დორა, შვილიშვილები ეთერ, ვენერა იუწყებიან
კოსტა მაქსიმეს-ძე ბალავაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გოგოლის, 54. დაკრძალვა 10/V, 5 ს. 1709

სტალინის სახელობის სახუნტის ადგილკომი თანაგრძნობას უცხადებს ამავე უნივერსიტეტის პარტკომის მდივანს ამხ. ნიკოლოზ დევიძეს მისი დედის
ვასასი ბართლომეს-ასულ დევიძის
გარდაცვალების გამო. 1699

ივანე, რუსუდან, მირდატ, მარიამ მამულაშვილები, ჯულიეტა ბაბაჯანოვი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი
ლოლია ბაბაჯანოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8/V, 5 ს. ჩუბინიძის, 6. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1710

მოსე, ანტონ, ყარამან, ყაისარ სირაძეები თავიანთი ცოლშვილით იუწყებიან საყვარელი მამის
ალექსანდრე შავარდენის-ძე სირაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 მაისს შრომის თემი ს. ორმეთი (მახარაძე). 1694

შვილი ლუდა ფარულავასი, შვილიშვილი ნადია თოფურიძე ქმარშვილით, შვილიშვილები სანდრო, კოკი, ვალიკო, ბიჭუნა ფარულავეები იუწყებიან
ბარბალე პაპასკირი - ადამიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხაკაიაში. 1700

დამწუხრებული შვილები ნიკოლოზ, ვასილ, ლიუდმილა დევიძეები, სიძე ერმილე გურჯაძე იუწყებიან საყვარელ
ვასასი იაკობის-ასულ დევიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V 3 ს. ს. პერევისაში (ჭიათურა) 1701

„საქაბრეშუმტრესტის“ თანამშრომლები კაციტაძე, ნასიძე, ძოწენიძე, პაპავა, ბასილია, ჩოგოვაძე, რაზმაძე, გძელიშვილი, ხურციძე, ლობჟანიძე, ნუცუბიძე, თოფურიძე, მარუაშვილი იუწყებიან აგრონომ
თამარ კემულარიას
გარდაცვალებას. 1708

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის —3—57—61,—სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. წერილების —3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული—1755